ქართველობის გადასარჩენად

# ილორი



«ის კი არაა სირცხვილი, რომ მეგრულად საუბრობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენ ქართველებს არ გვესმის მეგრული», — აკაკი შანიძე.

№473 (532) 8 – 21 აპრილი 2020 წ. სახალხო მოძრაობა «სამეგრელოს» ორგანო ფასი 50 თეთრი

# გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

**გიფიქრიათ, ბზობა, გოლგოთა, აღდგომა და ამაღლება რატომ არის ერთმანეთთან ახლოს და რატომ ცვლის ერთმანეთს?**

სიხარულს ძალიან ხშირად მწუხარება მოსდევს, მწუხარებას — სიხარული. ასე იცვლება სიხარული და მწუხარება ერთმანეთში. ძველი რომაელები ამბობდნენ: ადამიანი ადამიანისთვის მგელია. რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ადამიანი ადამიანისთვის მგელი არ იყოს და იყოს ძმა და მეგობარი?! ერთ დიდ პიროვნებას ჰკითხეს, ყველაზე საშიში რა არისო. ის დაფიქრდა და უპასუხა: ყველაზე საშიში კატეგორიული აზროვნება არისო, როცა ადამიანი კატეგორიულად აზროვნებს, ფიქრობს, რომ ის არის მართალი და ყველა მტყუანი, როცა სიმართლეს ხედავს მხოლოდ თავის თავში, თავის მოქმედებაში და აზროვნებაში. საშიშია ის პიროვნება, რომელიც ფიქრობს, რომ მხოლოდ მასშია ჭეშმარიტება. აი ეს ქმნის გარემოებას, როცა ადამიანი ადამიანისთვის მგელია. უდიდესი თვისებაა, როცა ადამიანს შეუძლია მოუსმინოს სხვა ადამიანს. უდიდესი დადებითი თვისებაა, როცა ადამიანი უსმენს სხვას და ხშირ შემთხვევაში აღიარებს, რომ ის არ იყო სწორი. ჩვენ უნდა ვიფიქროთ ამაზე. ჩვენ უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ მხოლოდ შენში არ არის ჭეშმარიტება. ამიტომ როცა ვსაუბრობთ, ჩვენი საუბარი არ უნდა გადაიზარდოს უხეშ კამათში, არ უნდა გადაიზარდოს ყვირილში და მტრობაში. რად გინდა ისეთი ჭეშმარიტება, თუკი მეგობარს დაჰკარგავ? ვეცადოთ ადამიანი ადამიანისათვის იყოს ძმა და მეგობარი“.

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი**
**ილია მეორე**



## თუ ქართველები ჭკუით და არა ურა-პატრიოტიზმით მოვიქცევით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას მოვესწრებით!

4

















ზურაბ კვარაცხელია:

## ნუ სპეკულირებთ ზვიადის ძეგლით! ნუ შეურაცხყოფთ მის ხსოვნას!

3

„ალბათ პირველი, ვისაც ზნეობრივი უფლება ჰქონდა, გამსახურდიას ძეგლი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოეყენებინა, მისი დადგმის ინიციატორი და ხორცის შემსხმელი ალექსანდრე ჭაჭიაა, მაგრამ ბატონ ალექსანდრეს ეს არასოდეს არ გაუკეთებია. როცა იგი აქტიურად მოღვაწეობდა ქართულ პოლიტიკაში, არასოდეს არ მიუცია თავისი თავისთვის უფლება და არც გამსახურდიას ხსოვნისთვის უკადრებია, რომ ამ ხსოვნის სიმბოლოთი მიწიერი მიზნებისთვის ესარგებლა“.

## კოლხი მაფშალიები

11





# ალექსანდრე ლუკაშენკო — კორონავირუსის ფსიქოზით გადაწყვიტეს გადააკეთონ მსოფლიო

**ბელარუსის პრეზიდენტს ალექსანდრე ლუკაშენკოს მიაჩნია, რომ კორონავირუსის დახმარებით, მსოფლიოს ყველაზე გავლენიანმა სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს გამოიყენონ არსებული ვითარება, შეცვალონ მსოფლიო და დაამყარონ ახალი წესები.**

„არ გეჩვენებათ, რომ ძლიერთა ამა ქვეყნისა გადაწყვიტეს, რომ ყოველგვარი ომის გარეშე, ამ კორონავირუსის ფსიქოზით და ინფოდემიით გადააკეთონ მსოფლიო? ჩვენ გვიბიძგეს იმისკენ, რომ გავჩერდეთ და მივირთვათ ის მცირედი სავალუტო რეზერვები, რომელიც გვაქვს. შემდეგ გამოუშვებენ მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის 10%-ს და ისინი ვინც ფეხზე დგანან მოვლენ და გვეტყვიან: აჰა თქვენ ცოტა და გააკეთეთ ის, რასაც გეტყვით. აი, ასე შეიძლება მოხდეს“, — განაცხადა ლუკაშენკომ.

ცნობისთვის, ბელარუსში კორონავირუსის დადასტურებული შემთხვევები 351-ია, ხოლო დაღუპულია 4 ადამიანი.



# სენაკის აგრარული ბაზარი დაიხურა, ორშაბათიდან კი ფუნქციონირებას ზუგდიდის და ფოთის ბაზრებიც შეწყვეტენ

**სენაკის აგრარული ბაზარი დაიხურა, ორშაბათიდან კი ფუნქციონირებას სავარაუდოდ, ზუგდიდის და ფოთის ბაზრებიც შეწყვეტენ. შესაბამისი გადაწყვეტილების შესახებ ჟურნალისტებს სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა, ალექსანდრე მოწერელიამ განუცხადა.**

„ჩვენ გუშინ გვქონდა სამართალდარღვევის 26 ფაქტი, დღეს კი გამოირკვა, რომ რეგიონის ერთ-ერთ მცხოვრებს, რომელსაც კორონავირუსი დაუდგინდა და ახლა თბილისში მკურნალობს, 27 მარტს კონტაქტი ჰქონდა ჩვენს რეგიონში, რამდენიმე ლოკაციასთან როგორც ზუგდიდში, წალენჯიხის რაიონის ორ სოფელში, ასევე, ჩხოროწყუს რაიონში. კონტაქტების უმრავლესობა უკვე გამოვლენილია და მოქალაქეები აუცილებლად გადავლენ კარანტინში. შესაბამისად, მინდა კიდევ ერთხელ მოვუწოდო ჩვენს მოქალაქეებს, თავი შეიკავონ სახლიდან გამოსვლისაგან, კონტაქტისაგან. ასევე მინდა შევეხო აგრარული ბაზრების მდგომარეობას, გუშინ ჩვენ შტაბის სხდომაზე მივიღეთ გადაწყვეტილება, სენაკის აგრარული ბაზრის დახურვასთან დაკავშირებით. მინდა მოქალაქეებს მოვუწოდო იმისაკენ, რომ ეს ღონისძიება არ არის ის, რაც სახელმწიფოს ინტერესებში შედის, რომ გინდა თუ არა დაიკეტოს, ეს არის მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ თქვენი უსაფრთხოება იქნას დაცული. სავარაუდოდ, ალბათ ყველა აგრარულ ბაზარს შეეხება და სამივე აგრარული ბაზარი ჩვენს რეგიონში იქნება დახურული. მხოლოდ დისტანციის დაცვა არაა საკმარისი, აქ არის ნაღდი ფულის მოძრაობაშიც პრობლემა და იცით, რომ ბევრი შემთხვევა გვაქვს, როდესაც ფულით იქნა დაინფიცირებული. ამდენად ჩვენ ვერ დავაყენებთ ვერავის რისკის ქვეშ. შესაბამისად, მივიღებთ გადაწყვეტილებას, დაიხურონ ბაზრები. ორშაბათიდან შესაძლოა, ზუგდიდის და ფოთის ბაზრებიც დაიხურონ“, — განაცხადა გუბერნატორმა.

რაც შეეხება ცენტრებს, მისი ინფორმაციით, ამჟამად 23 პაციენტის მიღების საშუალება გააჩნია ფოთს. „ზუგდიდში ცხელების ცენტრი ამჟამად არ გვაქვს, მაგრამ ამ დღეებში გაიხსნება რუხის საავადმყოფო, რომელიც შეძლებს 100 პაციენტის მიღებას და შემდგომ დამატებით 140-ს“, — აღნიშნა მან.

# გიორგი გახარია სააღდგომო ლიტურგიაზე — მე, როგორც ერთი ცალკე აღებული ქრისტიანი, ამას ყველაფერს თვალყურს ვადევნებ სახლიდან, ტელევიზორით

**მე, როგორც ერთი ცალკე აღებული ქრისტიანი, ამ ყველაფერს თვალყურს ვადევნებ სახლიდან, ტელევიზორით და ჩვენს მოქალაქეებს მოვუწოდებ, რომ ყველა ასე მოვიქცეთ, — ასე უპასუხა ჟურნალისტების კითხვას პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ იმასთან დაკავშირებით, დაესწრება თუ არა ის სააღდგომო ლიტურგიას.**

გახარია დარწმუნებულია, რომ ისინი ამ შემთხვევაშიც იპოვიან ისეთ გამოსავალს, რომელიც ისტორიას, ეკლესიასა და დღევანდელ რეალობას შეეფერება.

„მე მესმის, რომ ბევრს უნდა ეკლესიისთვის უკიდურესად მნიშვნელოვან დოგმატურ საკითხებზე და მთავრობისთვისაც უკიდურესად მნიშვნელოვან ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საკითხებზე კონფლიქტური და დაპირისპირების საკითხები შემოიტანოს. არ იქნება ეს ასე. ჩვენ ეკლესიასთან ერთად ყოველთვის ვიპოვით იმ დაბალანსებულ გამოსავალს, რომელიც ჩვენი მოქალაქის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ინტერესში იქნება და ასევე ჩვენი უძველესი ეკლესიის ინტერესსაც გაითვალისწინებს. მე, როგორც ერთი ცალკე აღებული ქრისტიანი, რა თქმა უნდა, ამას ყველაფერს თვალყურს ვადევნებ სახლიდან ტელევიზორით. ეს ჩემი სამოქალაქო პასუხისმგებლობაა, როგორც ცალკე აღებული მოქალაქის, ისევე როგორც მთავრობის ხელმძღვანელის და თითოეულ ჩვენს მოქალაქეს მოვუწოდებ, რომ ყველა მოვიქცეთ ასე. ჩვენ ჩვენი რწმენა შეგვიძლია ისე აღვასრულოთ, რომ დავიცვათ და გავუფრთხილდეთ ჩვენი ოჯახის წევრების, მეზობლების, მშობლების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ აქაც ვიპოვით ისეთ გამოსავალს როგორიც ჩვენ ისტორიას, ჩვენს ეკლესიას და ჩვენს დღევანდელობას შეეფერება“, — განაცხადა გიორგი გახარიამ.



# გიორგი გახარია სამედიცინო მარაგებზე — დღეს ქვეყანაში არსებობს საჭირო მარაგები და ეს მარაგები მუდმივად ივსება

**დღეის მდგომარეობით, ქვეყანაში აუცილებელი საჭირო მარაგები არსებობს, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, გიორგი გახარიამ სამედიცინო აღჭურვილობის მარაგების შესახებ კითხვის საპასუხოდ ჟურნალისტებს განუცხადა.**

მთავრობის მეთაურის თქმით, აღნიშნული საკითხი ჩაბარებული აქვს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრ, ლევან დავითაშვილს და დღეს არსებობს შესაბამისი საჭირო მარაგები და ეს მარაგები მუდმივად ივსება.

„მოგეხსენებათ, რომ მთავრობის დონეზე ჩვენ გამოვყავით რამდენიმე კრიტიკული მნიშვნელობის მიმართულება, რაზეც ვთქვით, რომ ეს ის სისტემური მიმართულებებია, რომლის სწორად მართვის პირობებში COVID-19-ს გავუმკლავდებოდით და ვთქვით, რომ ეს იყო პირველ რიგში, ჯანმრთელობა და მეორე — მარაგების მართვა. აქ შედის სწორედ ამ სამედიცინო მარაგების მართვაც. ეს ჩაბარებული აქვს ბატონ ლევან დავითაშვილს და მინდა გითხრათ, რომ სულ უკეთ და უკეთ მიმდინარეობს ეს პროცესი, დღეს არსებობს საჭირო მარაგები და ეს მარაგები მუდმივად ივსება“, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა საჭირო მარაგების თვალსაზრისით საპორტო ინფრასტრუქტურის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ ეს ის ინფრასტრუქტურაა, რომელმაც ქვეყანა უნდა მოამარაგოს აუცილებელი, საკვები პროდუქტებით, სამედიცინო მასალებით და აღჭურვილობებით.

„სწორედ ამიტომ გახლდით დღეს ბათუმის პორტში. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ საპორტო ინფრასტრუქტურა არის ის ინფრასტრუქტურა, რომელიც არც ერთი წუთით არ გაჩერდება. ეს ის ინფრასტრუქტურაა, რომელმაც ჩვენი ქვეყანა უნდა მოამარაგოს აუცილებელი, როგორც საკვები პროდუქტებით, ასევე სამედიცინო მასალებით და აღჭურვილობებით. სწორედ ამიტომ ვიყავით ჩვენ დღეს აქ, რომ შეგვემოწმებინა, როგორ გამართულად მუშაობს პირველ რიგში საკონტეინერო ტერმინალი, როგორც ბათუმის ისე ფოთის. ჩვენთვის ეს უკიდურესი აუცილებლობაა. უნდა გვესმოდეს, რომ ეს ის არხებია, რომლითაც ჩვენ ვამარაგებთ ჩვენს ქვეყანას და ასევე ჩვენს მეზობლებს. ეს ჩვენი დიდი პასუხისმგებლობაა, რამეთუ გამოდის, რომ საზღვაო კავშირი არის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური“, — განაცხადა გიორგი გახარიამ.



# როდის განაახლებს «აგარის შაქარი» წარმოებას — კომპანიის განმარტება




**ხელისუფლება ისეთი ადგილობრივი წარმოებების დატვირთვას იწყებს, რომლებიც „ეფექტურობის კუთხით რამდენიმე წლის წინ აქტუალური არ იყო“. როგორც პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ განაცხადა, მათ შორის, ერთ-ერთი არის „აგარის შაქარი“, რომელიც თითქმის წელიწადზე მეტია კონსერვაციაშია.**

„ეკონომიკის სამინისტრომ უკვე წარმოადგინა და მთავრობის მიერ იყო მოწონებული მაგალითად, ისეთი ადგილობრივი წარმოების, როგორიც არის „აგარის შაქრის“ თავიდან ამუშავება, განახლება, რამეთუ, სრულიად შეცვლილია, როგორც მოთხოვნის, ასევე მიწოდების სტრუქტურა არამხოლოდ ჩვენს ეკონომიკაში, არამედ რეგიონშიც. ამიტომ, ისეთი წარმოებები, რომელიც მაგალითად, ეფექტურობის თვალსაზრისით რამდენიმე წლის წინ არ იყო აქტუალური, დღეს უკვე სულ სხვა დატვირთვას იძენს“, — განაცხადა გახარიამ.

ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების წარმატებით დასრულებაზე საუბრობს „აგარის შაქრის“ დირექტორი ალხან ალიზადე. როგორც ის „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აცხადებს, საწარმო მუშაობას დაახლოებით 2 თვეში დაიწყებს.

„მქონდა ხელისუფლებასთან კონსულტაციები და გადაწყდა, რომ ჩვენი ქარხანა მუშაობას 2 თვეში დაიწყებს. საწარმო ამუშავდება სრული დატვირთვით და ყველა თანამშრომელი ისევ დაუბრუნდება სამსახურსს“, — განუცხადა „ბიზნესპრესნიუსს“ ალიზადემ.

შეგახსენებთ, რომ ბოლო წლების განმავლობაში აგარაში მდებარე შაქრის გადამამუშავებელმა ქარხანამ მუშაობა რამდენჯერმე შეაჩერა. კომპანიის წარმომადგენლების მხრიდან, მაშინ მიზეზად ის ფაქტი სახელდებოდა, რომ ქართული პროდუქცია იმპორტირებულს კონკურენციას ვერ უწევდა.

ბოლოს ქარხანამ მუშაობა 2018 წლის 1-ელ ივნისს განაახლა. მაშინ ითქვა, რომ პროფკავშირებისა და ბიზნესომბუდსმენის ჩართულობით, „აგარის შაქარსა“ და სახელმწიფოს შორის შეთანხმება შედგა, მაგრამ შეთანხმების დეტალებზე მაშინაც არავინ საუბრობდა. თუმცა მოგვინებით ქარხანამ მუშაობა ისევ შეწყვიტა. უკვე 2019 წლის მარტიდან კი საწარმოში დასაქმებული 500-მდე ადამიანს ხელმძღვანელობამ ხელშეკრულება შეუწყვიტა.

თუმცა ახლა ირკვევა, რომ „აგარის შაქარი“ წარმოებას ისევ დაიწყებს და როგორც კომპანიის ხელმძვანელი ალხან ალიზადე „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აცხადებს, ქარხანა სრული დატვირთვით ამუშავდება.

**ერთხელ, სულკურთხეულ თემურ ქორიძეს ვკითხე: — თუ წინასაარჩევნოდ ზვიად გამსახურდიას სახელის ხსენება მომგებიანი თემაა, სახელმწიფომ რატომ არ დაუდგა ძეგლი? — რაზეც მან მიპასუხა:**

„ზვიად გამსახურდიას მიმართ არასოდეს ყოფილა საშუალო დამოკიდებულება — ის ან სძულდათ, ან უყვარდათ, ეს დიდი ადამიანების ხვედრია. არავინ უარყოფს, რომ ხელისუფლებაში ყოფნისას შეცდომები არ ყოფილა. თვითონ ზვიადს აქვს ერთ-ერთ ესეში ნათქვამი ასეთი ფრაზა: „პოეტის ცხოვრების ფინალი ყოველთვის გასაღებია მისი შემოქმედებისა“. ზვიადის ცხოვრების ფინალი მოწამეობრივი აღსასრული იყო. ის შეგნებულად მიდიოდა ამ გზაზე, მისი იდეალი იყო მარტვილი, წამებული, რასაც ხშირად ამბობდა. ჭაბუკობიდანვე ემზადებოდა მოწამეობრივი აღსასრულისთვის. ერთგან უწერია კიდეც: „როდესაც რაიმე დიდ საქმეს შეეწირება ამ საქმის მესვეური, ეს მოასწავებს თვით საქმის გამარჯვებას“.

ზვიად გამსახურდია შეეწირა იდეას, რომელმაც გაიმარჯვა. ზვიადი ჩადგა მათ რიგებში, ვინც ისტორია შექმნა, ახალი საქართველოს ისტორია, მიუხედავად იმისა, სურთ თუ არა ეს, მაინც იქნება დაკავშირებული ზვიად გამსახურდის სახელთან. აი, რატომ ახსენებენ მის სახელს წინასაარჩევნოდ.

**ზვიად გამსახურდიას ძეგლი ზუგდიდში დგას, რამდენიმე წლის წინათ ალექსანდრე ჭაჭიას ინიციატივითა და მისი ძალისხმევით დაიდგა.**

**სამეგრელოს ცენტრში ზვიად გამსახურდის ძეგლი იმიტომ დაიდგა, რომ ამ კუთხეს და მის შვილს გამორჩეული ბედი ხვდა წილად ახალი საქართველოს ისტორიაში. ყველაზე მეტად სამეგრელოს მოუწია მსხვერპლის გაღება საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში. ფასდაუდებელია სამეგრელოს მიერ გაღებული მსხვერპლი და რაინდული მდუმარება... ისინი არავის აყვედრიან, რაც გადაიტანეს. სამეგრელოს დასაპყრობად მთელი საქართველო დაიძრა, მაგრამ მეგრელები დიდსულოვნად დუმან და მადლობა ჩვენს ძმებს ამისთვის“** — მიპასუხა თვალცრემლიანმა **თემურ ქორიძემ.**

ზუგდიდის ცენტრში, ძეგლის წინ გულგრილად ვერ ჩაივლის ვერც ერთი ადგილობრივი მცხოვრები და მართლაც, შორიდან მოდარაჯე თვალით თუ შეხედავთ, ნათლად დაინახავთ, როგორი მოწიწებით გაივლიან ხოლმე ძეგლის გასწვრივ — ოდნავ შეყოვნდებიან და შემდეგ განაგრძობენ გზას.

**ძეგლთან ხშირად მიდიან უბრალო ადამიანები, უფრო ხშირად კი სტუმრობენ პოლიტიკოსები საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის. ალბათ პირველი, ვისაც ზნეობრივი უფლება ჰქონდა, გამსახურდიას ძეგლი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოეყენებინა, მისი დადგმის ინიციატორი და ხორცის შემსხმელი ალექსანდრე ჭაჭიაა, მაგრამ ბატონ ალექსანდრეს ეს არასოდეს არ გაუკეთებია. როცა იგი აქტიურად მოღვაწეობდა ქართულ პოლიტიკაში, არასოდეს არ მიუცია თავისი თავისთვის უფლება და არც გამსახურდიას ხსოვნისთვის უკადრებია, რომ ამ ხსოვნის სიმბოლოთი მიწიერი მიზნებისთვის ესარგებლა.**

**სამაგიეროდ, უკადრებელს კადრულობენ ათასი ჯურის პოლიტიკოსი თუ მოპოლიტიკოსო ელემენტები, რომელთაც ცხოვრებაშიც კი ღირებული არაფერი არ შეუქმნიათ და გამსახურდიას ძეგლთან ნიანგის ცრემლების ღვრით უნდათ პოლიტიკური ქულების აკრეფა.**

დგანან საქართველოს პირველი პრეზიდენტის ძეგლის წინ, ხან წინასაარჩევნოდ, ხან ქვეყნისთვის მძიმე პერიოდში, ხან პიარისთვის, ხან მეგრელთა გულის მოსაგებად და ხარ კიდევ რისთვის, მაგრამ თითქმის არასოდეს დგანან — ბოდიშისთვის, პატიებისთვის, მადლობისთვის...

**სწორედ, ზემოთ აღნიშნულ თემაზე, სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ერთ-ერთ დამფუძნებელსა და ხელმძღვანელს ზურაბ კვარაცხელიას ვესაუბრეთ:**

— ნუ შეურაცხყოფთ ზვიად გამსახურდიას! — ბევრჯერ დამიწერია და მიმიმართავს ვითომ პოლიტიკოსებისთვის!

თემა, რომელსაც ახლა შევეხები, წლებია რაც მაწუხებს, თუმცა, ამაზე აზრის საჯაროდ დაფიქსირებისაგან აქამდე თავს ვიკავებდი.

ვფიქრობ, **საზოგადოებრიობამ მშვენივრად უწყის, რომ 2002 წელს ქ. ზუგდიდის ცენტრში ეროვნული მოძრობის პატრიარქის, ქვეყნის კანონიერი პრეზიდენტის და სამშობლოსთვის შეწირული ზვიად გამსახურდიას ბიუსტი დაიდგა. ბიუსტის დადგმის ინიციატორ-დამფინანსებელი იყო სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ დამფუძნებელი და თავმჯდომარე, აკადემიკოსი ალექსანდრე ჭაჭია, ხოლო ავტორი კი, შესანიშნავი სკულპტორი ბადრი სხულუხია.**

აქ არ მოვყვები ბიუსტის დადგმასთან დაკავშირებულ პერიპეტიებზე, მაგრამ ფაქტია, რომ მაშინ ის იყო ქვეყნის მასშტაბით ბატონი ზვიადის ერთადერთი ძეგლი. ჰო, მახსოვს მაშინ ჩვენ შეგნებულად არ მივაკარით მას აბრა, რომელზეც იქნებოდა წარწერა, რომ ის დაიდგა სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ინიციატივით. ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას და ჩვენც ასევე მიგვაჩნდა, რომ ეს იქნებოდა ზედმეტი, თავად ალექსანდრე ჭაჭია მეტად თავმდაბალი ადამიანია, მას არ უყვარს თავისი ნაკეთები საქმეების აფიშირება.

ჩვენი აზრით, თითოეულ ჩვენს ღირსეულ თანამემამულეს უნდა ჰქონოდა განცდა, რომ ძეგლის დადგმის ინიციატორიც და განმახორციელებელიც თვითონ არის...

# ზურაბ კვარაცხელია: ნუ სპეკულირებთ ზვიადის ძეგლით! ნუ შეურაცხყოფთ მის ხსოვნას!



ჩვენ მიგვაჩნდა, რომ ყველას უნდა ჰქონოდა ძეგლთან უკომპლექსოდ მიახლოებისა და დიდი პიროვნების ხსოვნისადმი პატივის მიგების შესაძლებლობა...

ჰოდა, აი, ახლა მივადექი მთავარ სათქმელსაც: **საქმე იმაშია, რომ მეც და არც ბევრ ჩვენს თანამემამულეს ნამდვილად არ მოგვწონს ის, რომ დიდი ზვიადის ძეგლთან მავანნი მიდიან და იკრიბებიან სპეკულაციური მიზნებით...**

**უკვე წლებია, მავანნი ცდილობენ თავიანთი ანტიეროვნული, ანტისახელმწიფოებრივი ზრახვები ვირეშმაკულად შეფუთონ ზვიად გამსახურდიასადმი ვითომდა პატივის მიგებით და ამის საჯაროდ დემონსტრირებას აკეთებენ იქ მიტანილი გვირგვინებით თუ აქცია-მიტინგებით. კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ არც მე და არც არავინ არ არის ბიუსტთან ამა თუ იმ აქციის გამართვის წინააღმდეგი, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ ეს ყველაფერი წინააღმდეგობაში არ იქნება ზვიად გამსახურდიას და საერთოდ ჭეშმარიტი ეროვნული მოძრაობის წმიდათაწმიდა იდეალებთან!**

ნამდვილად ძნელად მოსათმენია, როცა, რაგინდარა ჯურის ვათანძარული, ანტიეროვნული, დეგრადირებული, დენაციონალიზებული ვიგინდარა ელემენტები წამებული ერისკაცის ძეგლთან შექუჩდებიან და მერე მის შარავანდქვეშ აშკარად ქვეყნის მავნებლობას ეწევიან.

ეს ზვიად გამსახურდიას შეურაცხოფაა! ზვიად გამსახურდიას ხსოვნის უპატივცემლობაა! ზვიად გამსახურდიას ეროვნული იდეალების დევალვირების უბადრუკი და ამაო მცდელობაა!

დიახ, ზვიად გამსახურდიას სურდა ეროვნულ-ტრადიციულ-მართლმადიდებლურ ფასეულობებზე ორიენტირებული და ნამდვილად დამოუკიდებელი კოლხურ-იბერიული სახელმწიფოებრიობის აღორძინება!

ზვიად გამსახურდია საკრალური იდეის განხორციელებას შეეწირა და მისი სული მაშინ გაიხარებს, როცა ჩვენ მის სახელს ბოროტად კი არ გამოვიყენებთ, არამედ ისეთ საქართველოს ავაღორძინებთ, როგორ საქართველოზეც ის ოცნებობდა, ილვაწა და თავიც გაწირა!

აი, ეს იქნება ზვიად გამსახურდიას სახელისა და ხსოვნის არა ყალბი, ფარისევლური, სპეკულაციური, არამედ გულრწფელი, ნამდვილი პატივისცემა.

სათქმელს კვლავ თემურ ქორიძის სიტყვებით დავასრულებთ: **„ყველა ეპოტინება ოქროს გვირგვინს, ტახტს, ამისთვის უამრავი ადამიანის სიცოცხლე იწირება, ხოლო ეკლის გვირგვინს არავინ ეპოტინება, ეს გაცილებით იაფი ჯდება — ერთი კაცის სიცოცხლე“...**

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

> **«ზვიად გამსახურდიას ძეგლი ზუგდიდში დგას, რამდენიმე წლის წინათ ალექსანდრე ჭაჭიას ინიციატივითა და მისი ძალისხმევით დაიდგა. სამეგრელოს ცენტრში ზვიად გამსახურდიას ძეგლი იმიტომ დაიდგა, რომ ამ კუთხეს და მის შვილს გამორჩეული ბედი ხვდა წილად ახალი საქართველოს ისტორიაში. ყველაზე მეტად სამეგრელოს მოუწია მსხვერპლის გაღება საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში. ფასდაუდებელია სამეგრელოს მიერ გაღებული მსხვერპლი და რაინდული მდუმარება... ისინი არავის აყვედრიან, რაც გადაიტანეს. სამეგრელოს დასაპყრობად მთელი საქართველო დაიძრა, მაგრამ მეგრელები დიდსულოვნად დუმან და მადლობა ჩვენს ძმებს ამისთვის»**

> **ალბათ პირველი, ვისაც ზნეობრივი უფლება ჰქონდა, გამსახურდიას ძეგლი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოეყენებინა, მისი დადგმის ინიციატორი და ხორცის შემსხმელი ალექსანდრე ჭაჭიაა, მაგრამ ბატონ ალექსანდრეს ეს არასოდეს არ გაუკეთებია. როცა იგი აქტიურად მოღვაწეობდა ქართულ პოლიტიკაში, არასოდეს არ მიუცია თავისი თავისთვის უფლება და არც გამსახურდიას ხსოვნისთვის უკადრებია, რომ ამ ხსოვნის სიმბოლოთი მიწიერი მიზნებისთვის ესარგებლა**

# თუ ქართველები ჭკუით და არა ურა-პატრიოტიზმით მოვიქცევით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას მოვესწრებით!



დავით მხეიძის საავტორო გვერდი

**პიროვნების როლის, გნებავთ ფაქტორის ზეგავლენის არსებობა მსოფლიოში მიმდინარე გლობალურ პროცესებზე, კაცობრიობის მრავალ საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე მრავალგზის დადასტურებული უდავო ფაქტია! უფრო მეტიც, ზემოთ ხსენებულის გავლენების გარეშე, თვით ისტორია, როგორც ასეთი, საერთოდ არ იარსებებდა...**

რას ნიშნავს ისტორიულ პროცესებზე დიდი ადამიანების ზეგავლენა (დადებითი თუ უარყოფითი, ეს სხვა თემაა) იმას, რომ მათ მოსვლამდე ე.წ. მსოფლიო წესრიგი სხვა იყო, ხოლო მათი მოღვაწეობის პერიოდში, ან მათი წასვლის შემდეგ მსოფლიო პოლიტიკური რუკის კონტურები ისე შეიცვალა, რომ ამ ცვლილებებმა ათეული, ზოგჯერ ასეული წლების გამოცდას გაუძლეს!..

ამიტომაც არის, რომ დიდი ადამიანების მმართველობის პერიოდებს, მათი თანამედროვენი თუ შთამომავალნი მათი სახელობის ერას თუ შედარებით უფრო თავმდაბლურად, ეპოქას უწოდებენ ხოლმე: ალექსანდრე მაკედონელი, იულიუს ცეზარი, პეტრე პირველი, ნაპოლეონ ბონაპარტე, იოსებ სტალინი და ა.შ. სხვა მრავალი...

ანტიკური ხანიდან დაწყებული ვიდრე დღემდე, იმდენად მრავალნი არიან, მათი უკლებლივ ჩამოთვლა ისე შორს წაგვიყვანს, რომ ვეჭვობ, წინამდებარე გაზეთის მთელი ფართობი ეყოს.

თუმცა, ეგეც რომ არა, მთავარის სათქმელად სულაც არ მჭირდება ანტიკური ხანის ისტორიული ფოლიანტების „ქექვა“, რადგანაც წინამდებარე წერილის შესაქმნელად შედარებით უახლესი წარსულისა და სავალალო დღევანდელობის მიმოხილვასაც ვიმყოფინებ...

მას შემდეგ, რაც კონსტანტინეპოლი თურქებმა აიღეს და დიდებული აიასოფიას ლავრიდან ქრისტიანული გალობა, თურქ მუეძინთა სისხლის გამყინავმა ყივილმა შეცვალა, ხატოვნად თუ ვიტყვით, მსოფლიო მართლმადიდებელი ქრისტიანული რელიგია უპატრონოდ დარჩა. ეს ფუნქცია, მართლმადიდებლობის დაცვა თავის თავზე რუსეთის სახელმწიფომ აიღო ცნობილი დევიზით — რუსეთი მესამე რომი, მეოთხე რომი არ იქნება! და, სწორედ აქედან დაიწყო რუსეთის წინააღმდეგ კათოლიკური დასავლეთ ევროპის ფარული თუ აშკარა შეთქმულება. იმ დასავლეთ ევროპის, რომლის მოღალატური უმოქმედობის გამო აიღეს კონსტანტინეპოლი, ანუ ბიზანტიის იმპერია თურქ-სელჯუკთა ნახევრად ველურმა ურდოებმა.

რომის კათოლიკური იმპერიის მიზანი მართლმადიდებელი სარწმუნოების მოსპობა იყო მართლმადიდებელი ეკლესიის ვატიკანთან შეერთების გზით და რომ არა რუსეთის საერო და საეკლესიო ხელისუფლებების მიერ გამოცხადებული პრეტენზია მესამე რომის შესახებ, დღეს მთელი მსოფლიო (მუსულმანთა გარდა) გალიბერასტებული იქნებოდა, ხოლო ვატიკანი — მსოფლიოს მექა!

რუსეთი რომ ვერ „მოარჯულეს“ ეს იყო თავი და თავი მიზეზი მის წინააღმდეგ ე.წ. „რეჩპოსპოლიტას“ (პოლონეთის მეფისა და ლიტვის დიდი სათავადოს კათოლიკური იმპერია, რომლის შემადგენლობაში რუსეთის ნაწილიც შედიოდა) მიერ წარმოებული ომებისა რუსეთის წინააღმდეგ. („რეჩიპოსპოლიტას“, რომლის ხელმწიფის ტიტულატურა, „მეფე პოლონეთისა და ლიტვის დიდი თავადი“, ასე ჟღერდა) თქვენ წარმოიდგინეთ რუსეთ თურქეთს შორის ომებისასაც კი მაჰმადიანი თურქეთის სასარგებლოდ ილწვოდა. მართალია, არა მართლმადიდებელი, მაგრამ მაინც ასე თუ ისე ქარისტიანული ინგლისის დიპლომატია თუ ფინანსები — მას შემდეგ და ვიდრე დღემდე, ინგლისი და შემდგომ უკვე გაერთიანებული სამეფოს სახელით ცნობილი დიდი ბრიტანეთი, რუსეთის დაუძინებელი მტერია.

ასე იყო თუ ისე, რუსეთისთვის უმძიმესი მე-17 საუკუნის ბოლოს, ქვეყანას მხსნელად მოევლინა 16 წლის პეტრე I. უკანასკნელი მეფე რუსეთისა, რადგანაც პეტრემ სამეფო იმპარიად აქცია და მას შემდეგ რუსეთის მეფენი იმპერატორებად მოიხსენიება.

აქ არ დავიწყებ რუსეთის მხსნელი იმპერატორის საქმეთა დაწვრილებით ჩამოთვლას, რისთვისაც ხალხმა მას პეტრე დიდი შეარქვა. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ მან ააშენა პეტერბურგი შემდგომ რუსეთის იმპერიის დედაქალაქი. არც იმას გავუსვამთ ხაზს, რომ შვედეთთან მრავალწლიანი ომში გამარჯვებით, ერთხელ და სამუდამოდ მოუსპო რუსეთს ჩრდილოეთიდან პოტენციური საფრთხეები! ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, თამამად შეგვიძლია თქმა იმისა, რომ პეტრე დიდმა საკუთარი ეპოქა შექმნა, რომელიც არანაკლებ დიდი იმპერატორის, ეკატერინე დიდის ეპოქამ შეცვალა — თუქეთთან, ავსტრია-პრუსიასთან მრავალი წარმატებული ომების შედეგად, მსოფლიოს პოლიტიკური რუკიდან სამუდამოდ გაქრა პოლონეთი, როდესაც მისი ტერიტორიები 1795 წელს გაიყვეს რუსეთმა, ავსტრიამ და პრუსიამ. პოლონეთი საიდანაც მდინარე ნემანის გადალახვით, რუსეთის ყველა მტერი შემოდიოდა და რომ არა ნაპალეონ ბონაპარტეს მექალთანეობა (პოლონეთის გრაფინიას სილამაზით მოხიბლულმა, პოლონეთის სამეფო აღადგინა. ფორმალურად, მაგრამ მაინც...) დღეს პოლონეთის სახით რუსეთს დაუძინებელი მტერი არ ეყოლებოდა?!



სტალინი



ვლადიმერ პუტინი

**რუსეთი რამოდენიმე ნაწილად დაიშლებოდა, მაგრამ ამ კრიტიკულ ჟამს რუსეთს სასწაულებრივად გამოუჩნდა მხსნელი, ქართველი იოსებ ჯუღაშვილი — სტალინი. რომლის მიმართაც აღარ ვიხმარ გაცვეთილ ფრაზას, რომ მან კავის რუსეთი ჩაიბარა და ა.შ. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ამ ყველა დროის უდიდესმა პოლიტიკოსმა და მხედართმთავარმა უმადური მსოფლიო იხსნა კაცობრიობის ისტორიაში არსებული ყველაზე ბოროტი ძალის, ჰიტლერული გერმანიის ფაშიზმისგან!**

რუსეთმა, სამწუხაროდ, მთელი XIX საუკუნის მანძილზე ვერ შვა ისეთი იმპერატორი, რომელიც წინაპართა მსგავსად საკუთარ ეპოქას შექმნიდა (თუმცა ეპოქას ვინლა დაეძებს, როცა 1917 წლის რევოლუცია, ე.წ. დეკაბრისტებმა ლამის 100 წლით ადრე 1825 წელს მოახდინეს) და ამიტომაც დაემხო რომანოვების მართლმადიდებელი მონარქია!

სხვათა შორის, ამ „დამხობაში“ თავისი ფინანსურ-დიპლომატიური წვლილი, რუსეთის მარადიულმა მტერმა, ინგლისმაც შეიტანა — რევოლუციის წინა დღეებში ინგლისის ელჩმა კერენსკის 2 მილიონი ფუნტი გადასცაო...

მაგრამ ეგეც იქით იყოს, რუსეთის ყოფილი იმპერია უცხოელთათვის ძარცვა-რბევის უსაზღვრო არეალად იქცა და რომ არა ბოლშევიკური გადატრიალება, დასავლეთის საუკუნო ოცნება ასრულდებოდა და რუსეთი რამოდენიმე ნაწილად დაიშლებოდა, მაგრამ ამ კრიტიკულ ჟამს რუსეთს სასწაულებრივად გამოუჩნდა მხსნელი, ქართველი იოსებ ჯუღაშვილი — სტალინი. რომლის მიმართაც აღარ ვიხმარ გაცვეთილ ფრაზას, რომ მან კავის რუსეთი ჩაიბარა და ა.შ.

ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ამ ყველა დროის უდიდესმა პოლიტიკოსმა და მხედართმთავარმა უმადური მსოფლიო იხსნა კაცობრიობის ისტორიაში არსებული ყველაზე ბოროტი ძალის, ჰიტლერული გერმანიის ფაშიზმისგან!



მაკედონელი

უმადური იმიტომ, რომ ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს ისტორიის გადაწერა, რომლის მიხედვითაც მეორე მსოფლიო ომი ამერიკელებსა და ინგლისელებს მოუგიათ, ხოლო სსრკ იქ „სადღაც“ ომობანას თამაშობდა, რომელშიც მან 27 მილიონი ადამიანი დაკარგა?! ომში, რომელშიც პატარა საქართველომ უფრო დიდი მსხვერპლი გაიღო, ვიდრე აშშ-ინგლისმა ერთად აღებულებმა!

მაგრამ უმადურ დასავლეთს რას მოთხოვ, როდესაც სსრკ-ს მემკვიდრე რუსეთი ფაშიზმზე გამარჯვების საიუბილეო თუ „უბრალო“ თარიღებს დიდი ზარზეიმით იხდის, მგრამ ადგილობრივი თუ დასავლელი ლიბერასტების შიშით, სამხედრო აღლუმზე, გამარჯვების მთავარსარდალის სურათის ჩატარება ვერ გაუბედავთ წითელ მოედანზე — ფუი, თქვენი, შეგირცხვათ ნამუსი...

მიუხედავად ყოველივე ზემოთ თქმულისა, იოსებ სტალინმა საკუთარი ეპოქა შექნა!

უბრალო ხალხის სიყვარულსა და მადლიერებას რომ თავი დავანებოთ, რისი დასტური თუნდაც ყოველ 9 მაისს ყვავილებში „ჩამხრჩვალი“ დიდი ბელადის საფლავია, მსოფლიო აგერ უკვე 70 წელზე მეტია, რაც ისტორიულ იალტის კონფერენციაზე, მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებული სამეულის (ჩერჩილი, რუზველტი, სტალინი) მიერ შემუშავებული წესებითა და ახლად დადგენილი საზღვრების პირობებში — მთელი მსოფლიო დიდი ომების გარეშე, შედარებით მშვიდობინად თანაარსებობდა!

იმ დიდ სამეულში „თამადა“ ვინ იყო, ვფიქრობ, რიტორიკული კითხვაა!..

ჰოდა, სწორედ ამ შედარებითი ჰარმონიის (რომელსაც ორ პოლუსიანი მსოფლიო ერქვა) აშშ-ს სასაგებლოდ დანგრევა დაისახეს მიზნად სსრკ-ს შინაურმა თუ გარეულმა, ნებსითი თუ უნებლიე მტრებმა: ჯერ სიმინდის ანეგდოტამდე (თუ ასე თქმა შეიძლება) დაიყვანა სტალინის მიერ შექმნილი ზე-სახელმწიფო ხეპრე ნიკიტა ხრუშჩოვმა, შემდეგ ლეონიდ ბრეჟნევის ე.წ. უძრავობის ხანა დადგა, რომლის დროსაც სტალინის ეპოქისავე დანატოვარი ძლიერი ეკონომიკის ნარჩენებით კვებავდა ▶

◀ სსრკ-ს, რომელიც იმდენად უხვი იყო, რომ მაძღარმა ხალხმა ოქროს ხანა უწოდა ბრეჟნევის მმართველობის პერიოდს; სსრკ-ის ნგრევა კი წარმატებით დაასრულა დასავლეთის დაზვერვის ე.წ. გავლენის აგენტმა მიხეილ გორბაჩოვმა ყბადაღებული ე.წ. პერესტროიკით...

სსრკ-ს დანგრევის შემდეგ საქმე ისეთ აბსურდამდე მივიდა, რომ სსრკ-ის სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ანდრეი კოზირევმა გაეროს მაღალი ტრიბუნიდან განაცხადა, რომ რუსეთს არავითარი ნაციონალური ინტერესები არ გააჩნიაო!

აუხდათ ნანატრი მსოფლიო თუ ადგილობრივ ნეოლიბერალებს — ყოველი ზემორე თქმულიდან გამომდინარე, რუსეთი მაშინ, როგორც იტყვიან, თიხის ფეხებზე შემდგარი „კოლოსი“ იყო, რომელზედაც ერთი მსუბუქი ხელის კვრა და ეს უდიდესი კულტურისა და უმდიდრესი რესურსების მქონე ქვეყანა, ან საერთოდ გაქრებოდა პოლიტიკური რუკიდან, ან მარტივ მამრავლებად დაიშლებოდა, რომელსაც ნაწილ-ნაწილ გაძარცვავდნენ დასავლელი „ჰუმანური დემოკრატიები“, მაგრამ, როდესაც „დემოკრატი სვავები“ ხელების ფშვნეტით ელოდნენ თუ როდის წაიქცეოდა უკვე სულთმბორძავი მართლმადიდებელი (!!!) რუსეთი, როგორც ზღაპრებშია — „სად იყო და სად არა“, სამოქალაქო ომის ქაოსით მოცულ რუსეთს, მხსნელად მოევლინა იმ დროს ყველასათვის შედარებით უცნობი, ვლადიმერ პუტინი, ჯერ პრემიერად და შემდეგ პრეზიენტად!

ორი სიტყვით წარმოდგენა რომ შეგექმნათ, თუ რა დღეში მყოფი რუსეთი ჩაიბარა ვლადიმერ პუტინმა, მისსავე სიტყვებს მოვიშველიებ ციტირების გარეშე — იმდენად იყო არმია დემორალიზებული, რომ ბასაევის ბანდების ხელში ჩავარდნილ ჩეჩნეთში მდგომარეობის მენაკლებად ნორმლიზებისთვის, რუსეთის მრავალმილიონიან არმიაში 50 ათასი ბრძოლის უნარიანი ჯარისკაცის მოძებნა გამიჭირდაო...

ახლო მომავალში უკვე პრეზიდნტმა პუტინმა ჩეჩნეთში მიმდინარე სამოქალაქო ომის ხანძარი ჩააქრო და იქ შენების პროცესი დაიწყო — შეხედეთ თანამედროვე გროზნოს...

მინდა, მკითხველს ერთი, ჩემის აზრით მნიშვნელოვანი რამ შევახსენო, რომლისთვისაც არც მაშინ მიუქცევიათ პოლიტოლოგებს განსაკუთრებული ყურადღება და მითუმეტეს დღეს ვიღას ემახსოვრება — პრეზიდენტი ბუში, როდესაც მეიდანში ბაღდადურის ჰანგებზე, უკაცრავად და „დუმებს ათამაშებდა“, ზუსტად იმავე დღეს პრეზიდენტმა პუტინმა გიუმრის სამხედრო ბაზაზე (რომელიც სომხეთში, თბილისიდან სულ რაღაც 200 კილომეტრშია ბაზირებული) სამხედრო აღლუმი ჩაიბარა. ასეთი რამეები შემთხვევით არ ხდება...

ამ აქციას 2 მისამართი ჰქონდა, რომელიც დიპლომატიურ ენაზე იმას ნიშნავს, რომ მათალია, მეიდანში ბუქნაობ, მაგრამ არ დაგავიწყდეს, რომ თბილისი მოსკოვის გავლენის სფეროა და მეორე, თბილისისთვის გაფრთხილება — აშშ შორს არის, მე კი აგერ, სულ ახლოს ვარ და ამერიკელებს აქ არ ვაჯეჯილებო!

თბილისს დიპლომატიური კი არა, ჩვეულებრივი ენა არ ესმის და ამ უვიცობის შედეგი იყო 08.08.08 რუსეთ საქართველოს ომი და აშშ-ს სიშორის დასტურიც, როდესაც პამპე-



პეტრე პირველი



ცეზარი



ნაპოლეონი

მას შემდეგ, რაც კონსტანტინეპოლი თურქებმა აიღეს და დიდებული აიასოფიას ლავრიდან ქრისტიანული გალობა, თურქ მუექინთა სისხლის გამყინავმა ყივილმა შეცვალა, ხატოვნად თუ ვიტყვით, მსოფლიო მართლმადიდებელი ქრისტიანული რელიგია უპატრონოდ დარჩა. ეს ფუნქცია, მართლმადიდებლობის დაცვა თავის თავზე რუსეთის სახელმწიფომ აიღო ცნობილი დევიზით — რუსეთი მესამე რომი, მეოთხე რომი არ იქნება!

რსებით დაგვეხმარნენ სტრატგიულ „მეგობრებს“...

პუტინის ეპოქის დასაწყისად 2007 წელს მიუნხენის „რეჩი“ მიმაჩნია, სადაც მან პრინციპში ციტირების გარეშე შინაარსობრივად დაახლოვებით ეს განაცხადა — კოზირევს საერთოდ არ ვიცნობ, რუსეთს ნაციონალური ინტერესებიც გააჩნია და უფრო მეტიც, რუსეთი გლობალურ პოლიტიკაში ბრუნდება, რაც ერთ პოლუსიანი მსოფლიოს დასასრულსა და იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან, რუსეთის გარეშე მსოფლიოში ვერც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ვეღარ გადაწყდებაო!

ამის შემდეგ დიდი დრო არ გასულა, რომ რუსეთმა ახალი სამხედრო ტექნიკის ტელედემონსტრაცია მოაწყო. რამაც მავან ლიბერასტთა ცინიკური ღიმილი გამოიწვია — ეგ ყველაფერი პროპაგანდისტული მულტიპლიკაცია იყოო, მაგრამ, როდესაც ამ „პროპაგანდამ“ კასპიის ზღვიდან კოლიბრის ტიპის რაკეტებით უზუსტესი დარტყმა მიაყენა სირიაში, კასპიიდან ათასობით კილომეტრებით დაშორებულ ტერორისტთა სახედრო ბაზას, „პროპაგანდისტულ“ მულტიპლიკაციაზე საუბარი შეწყდა და ნატომ (წაიკითხე, აშშ) იმაზე დაიწყო ფიქრი, რომ ვლადიმერ პუტინის განცხადება უფრო ძლიერი იარაღის შესახებ სიმართლეა და არა „მულტიპლიკაციური“ პროპაგანდა!

პუტინის ეპოქის უეჭველი დასაწყისის ათვლა, იქიდან უნდა დავიწყოთ, როდესაც გაეროს ტრიბუნიდან ამერიკელების გასაგონად განაცხადა — „Вы хоть понемаете чего натворили“ და პასუხს არ დალოდებია ისე „გამოიჯახუნა კარები“, საკუთარ თვითმფრნავს მიაშურა და რუსეთის სამხედრო კოსმიურმა ძალებმა მეორე დღესვე, 2014 წლის 30 სექტემბერს სირიაში არსებული ტერორისტების დაბომბვები დაიწყეს. იმ სირიაში, რომლის პრეზიდენტ ასადის სასახლმდე ტერორისტებს სულ რაღაც 8 კილომეტრი აშორებდათ. დღეს კი, რუსეთის წყალობით, პრეზიდენტი ასადი ქვეყნის ტერიტორიების 90%-ზე მეტს აკონტროლებს!

პუტინის ეპოქის დასაწყისად რუსეთის კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებებიც მოწმობენ, რომელთაგან იმ რამოდენიმეს მოვიყვან, რომლებმაც თავზარი დასცა მსოფლიო ნეოლიბერალებს: კონსტიტუციაში ჩაიწერა, რომ რუსეთის კონსტიტუციური კანონები უპირატესია ვიდე ე.წ. საერთაშორისო კანონები და აგრეთვე კონსტიტუციური ნორმაა, რომ რუსეთი იცავს ისტორიულ სიმართლეს და ინახავს წინაპართა ხსოვნას, რომლებმაც გადასცეს იდეალი და რწმენა ღმერთისა. აგრეთვე რუსეთის ახალ კონსტიტუციაში შავით თეთრზეა დაფიქსირებული, რომ ქორწინება მხოლოდ ქალსა და მამაკაცს შორის შეიძლება იყოს!

ამ ჩანაწერებმა, რომ იტყვიან, გააცოფა მსოფლიო ნეოლიბერალები, რომელთაც ამ ცოტა ხნის წინ ეგონათ, გამარჯვება ჯიბეში ედოთ, მაგრამ მათ ერთი რამ გამორჩათ — პუტინის ეპოქა დაიწყო, რაც იმას ნიშნავს, როგორც მინიმუმ, დედამიწის 1/7 ლგბტ-პედერასტობა ვერ იჯეჯილებს და ეს მხოლოდ დასაწყისია.

პუტინის ეპოქის დასაწყისი... თუ ქართველები ჭკუით და არა ურა-პატრიოტიზმით მოვიქცევით, პუტინის ეპოქის დასაწყისს თუ ვერა, დასასრულს მაინც მოვესწრებით — საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას!



## ბიძინა ივანიშვილის ქონება ბოლო 1 თვის პერიოდში ერთ-ერთ ყველაზე დაბალ ნიშნულზე იყო

**მსოფლიოში კორონავირუსის გავრცელების ფონზე უმდიდრესი ადამიანების ქონება მცირდება. მათ შორის, ბოლო მონაცემებით, ამერიკის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის აქტივების წმინდა ღირებულება ერთ თვეში 1 მლრდ დოლარით შემცირდა. დაახლოებით ერთი თვის წინ, ამერიკის პრეზიდენტის ქონება შეადგენდა 3.1 მლრდ დოლარს, ახლა კი მხოლოდ 2.1 მლრდ-ს.**

მცირდება ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის ქონების ღირებულებაც. შეგახსენებთ, რომ ის ერთადერთია, ვინც საქართველოდან „ბლუმბერგის“ მილიარდერთა რეიტინგში ხვდება. ინდექსის მიხედვით, ივანიშვილი ქონება ბოლო 1 თვის განმავლობაში ერთ-ერთ ყველაზე დაბალ ნიშნულზეა. კერძოდ, 19-24 მარტის პერიოდში 4.92-4.97 მლრდ დოლარის ფარგლებშიც კი მერყეობდა. ცნობისთვის, 2013 წლის შემდეგ ივანიშვილის ქონება ასე მცირე ნიშნულზე მხოლოდ 2018 წლის დეკემბერში იყო, როცა 4.97 მლრდ დოლარად იყო შეფასებული.

3 აპრილის მდგომარეობით, ბიძინა ივანიშვილის ქონება 5.05 მლრდ დოლარად არის შეფასებული და ის რეიტინგში 321-ე პოზიციაზეა.

5.05 მლრდ დოლარად ბიძინა ივანიშვილს შეუძლია შეიძინოს 3.13 მილიონი უნცია ოქრო და 148 მილიონი ბარელი ნავთობი. მისი ქონება უტოლდება შეერთებული შტატების მშპ-ს 0.0246%-ს, შეერთებულ შტატებში „ტოპ“ 200 აღმასრულებელი დირექტორისთვის მიცემული კომპენსაციის 80%-ს, შეერთებული შტატების „ტოპ“ 100 კოლეჯის შემოწირულობის 1.28%-ს.

აღსანიშნავია, რომ მილიარდერების ინდექსის თანახმად, ივანიშვილის ქონება ყველაზე მაღალი — 2013 წელს იყო, როცა 6.40 მლრდ აშშ დოლარს შეადგენდა.

გამოცემას ბიზნესმენთან დაკავშირებით მცირე ინფორმაციაც აქვს დატანილი, სადაც ივანიშვილის ბიზნეს საქმიანობის დაწყებისა და პოლიტიკური კარიერის მოკლე ისტორიაა ასახული.

„ივანიშვილმა კარიერა პოსტსაბჭოთა რუსეთში 1990-იან წლებში რკინის მადნის მოპოვებაში, ბანკებსა და უძრავ ქონებაში ფულის ჩადებით დაიწყო. თავისი აქტივების უმეტესობა 2003-2006 წლებში გაყიდა, დანარჩენი ნაწილი გაიყიდა საქართველოში პრემიერ-მინისტრად არჩევამდე 2012 წელს. ერთი წლის შემდეგ კი ის თანამდებობიდან გადადგა“, — იუწყება გამოცემა.

**ცნობისთვის:** „ბლოომბერგ“-ის მილიარდერების ინდექსი მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ადამიანების ყოველდღიური რეიტინგია. „ბლოომბერგ“-ის მილიარდერთა სიაში სულ 500 მილიარდერია.



## დონალდ ტრამპის ქონება 1 მლრდ დოლარით შემცირდა

**ამერიკის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის აქტივების წმინდა ღირებულება ერთ თვეში 1 მლრდ დოლარით შემცირდა. ამის შესახებ ინფორმაციას „ფორბსი“ — ავრცელებს.**

დაახლოებით ერთი თვის წინ, ამერიკის პრეზიდენტის ქონება შეადგენდა 3.1 მლრდ დოლარს, ახლა კი მხოლოდ 2.1 მლრდ-ს.

ბიზნესი, რომელსაც პრეზიდენტი ტრამპი ჯერ კიდევ ფლობს, მაგრამ მისი შვილები აკონტროლებენ, ისევ კომერციულ უძრავ ქონებასთან არის დაკავშირებული. კორონავირუსული პანდემიის დაწყებამდე ობიექტები შეფასებული იყო 1,9 მლრდ დოლარად, 2020 წლის 18 მარტისთვის ეს მოცულობა დაახლოებით 1,2 მლრდ დოლარამდე შემცირდა.

კომერციული უძრავი ქონების გარდა, პრეზიდენტი ფლობს 500-ზე მეტ საცხოვრებელ ქონებას მთელი ქვეყნის მასშტაბით, რომლის ღირებულება 148 მლნ დოლარამდე დაეცა. სიტუაცია კიდევ უფრო რთული იყო ტრამპის სასტუმროს ბიზნესისთვის. Trump Organization-მა სცადა სასტუმროს გაყიდვა ვაშინგტონში, კოლუმბიის ოლქში, მაგრამ ახლა ეს გეგმები შეიცვალა. The Washington Post - ის ცნობით, პრეზიდენტის კომპანიებში სამსახური 550-ზე მეტმა თანამშრომელმა დაკარგა.

ტრამპს ასევე აქვს ფულადი თანხა, დაახლოებით 160 მლნ დოლარი.

# ბჭარათ დო ბრაგადუათ

## ბართლომე სართანიაშჷ ლერსი

* * *

კოჩქ ვაგოზურდა ხანდა დო ლიმათ,
რინას დაღალი თია საღალე,
სქანჷ რინას შხვაშის ვამუძინანა
მუსხიშახ ეშე ვადემაღალე.
ართშა ერჩქინდი, ართშა ღურუქუ,
ქიშამჷ ღურაშა ირფელიშჷ გემო,
თე ცხოვრებაშა ირკოს უკათუ,
აბა, ქიანა ართიში რენო?!
ღურაშჷ უკული მეტ რინა ვარე,
ეცადჷ თაქ ორდე გემოთ რინელი,
თევრენჷ დორთელი თაქ კოს ვაუძირ,
ვართ თავრე ულირჷ, თექი შინელი.
კუნტა ცხოვრება წვალებათ ეფშა,
დრო გიწონტებულჷ ვამიჭირინე,
შქას ვაშაჸუნდას თოლებს ჩხვინდინი,
თოლი ოთოლეს ვადინტირინე.
ჸათეშენი რე ირო ლიმა რე
დო ცხოვრება რე დიდჷ ზღვა დურუმი,
მინჷ ლაქვათჷცალო ჟი მინიფაფუ,
მინჷ — გიმე ინწყუუ ქუა-ჸურუმი.
ზღვაშჷ სქირაფაშა, ქუაშჷ ნდღულაშა
თაშჷ იჸუაფჷ ნირზება-რკინი,
უბადო შურიშჷ წირდეს ოჩხუპუ,
ჯვეშშე მოძუნა ნირზება-წყინი…
ათაშჷ ირთუ ჩქინი ცხოვრება,
კოჩჷ დო ეშმაკი რინას მართენა,
არძას ობაღუ ათე ქიანა,
მარა ართიანს ნებას ვარზენა.

## თამაზ ფიფიაშჷ ლერსი

### ნანაია, ნანა

ნანაია, ნანა სქუა,
ოცქვაფურსუ ირო ფთქუა:
აშამჯანუქ მურიცხჯგუა,
ბჟა დო თუთას გიგურუა!
ონწეს რწკინუნქ, ბაია რექ,
სქან ქიჷანა აია რე,
გურიშჷ ჰამო ნაია რე,
ირო გიბირც ინა ნანას.
შურუბუმუ დიაშჷ მხარეშჷ
უსქვამაში სოთინ ვარე,
ბედქ გაშუას მუდგა ნწარექ,
ქიხუტოლე გურშა, ნანა.
დიო ორექ ჭყინტურუა,
ჭკომუნქუ დო ირულუა,
რინას უკული დიგურუა,
მუჟამც კოჩო მირდუქ, ნანა.
ათაქ ოკო ითაკარე,
ათაქ ოკო გიდგე კარე,
გიჩქუდასუ, შხვაშო ვარე,
ათეჯგუა ზღვა დო გვალა.
რინას ოკო ემანგარე,
თიშო ლამა ვედიზარე,
ვარექ თაქი სი მეშარე,
გიმირჩქინე ოკო ძალა!
ბედი მუდგა ირთუდასუ —
სქანი აკანი გიჩქუდასუ,
ცოდა-მარდი ქორშუდასუ,
ვაგუზურდა ნტერსუ, ნანა!
სქან ქიანაშჷ მარსხებელო,
სამარგალოშჷ მარგებელო,
ირჷ დიდ საქმეშჷ განმგებელო,
საწმოხონოთ მირდი, ნანა!
ნანაია, ნანა სქუა,
ოცქვაფურსუ ირო ფთქუა:
აშამჯანუქ მურიცხჯგუა,
ბჟა დო თუთას გიგურუა!
ნანაია, მარდუს ნანა…

## ივეტა წითაშვილი ლერსიეფი

### დოსერე დო უკმელას

დოსერე დო უკმელას
თოლეფ აკუწკურუაფ,
წკურემ ქუდოჸონენ დო
გური აკუწუხუაფ.
გოთანე დო ოჭმარეს
კვარჩხი აკუსხუნუაფ,
მაჭირხოლეფ ოხვამეს
ართათ აკუფურნუაფ.
ქერეთ ონდღეს ცაშ იშო
ონჭაფეშა უნჭუაფ,
ჩხანას გუბარჩხალუ დო
ნდოლოს ცუნდიქუდურღვაფ.

### სერ უკმელას ელათხოზ

სერ უკმელას ელათხოზ
ოჭმარე მუშ გოთანას,
ონდღე დღასი გაწირღოლ,
ჩხანა ცას გაბარჩხალანს.
გაკვარკვანტნა ართიანს,
მიუხედავად ამგვარი ვითარებისა, ნიჭიერ, შემოქმედ და მიზანსწრაფულ ადამიანებს საქართველოში რა გამოლევს, და სრულად გაქრობას გადაურჩა ქართული მეცნიერებაც. მის ცალკეულ დარგებში კი ხელშესახები წინსვლაც მოხდა, ცხადია, საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე ენთუზიასტი ადამიანების ძალისხმევით.

ასეთებს განეკუთვნებიან მამა-შვილი თანაავტორები მამანტი და ცირა ძაძამიები, რომლებმაც პრაქტიკულად სასწაული მოახდინეს ენათმეცნიერებაში, მათ ჯერ კიდევ 1997 წელს გამოცემული ნაშრომით „ენის წარმოშობის საიდუმლოება“, პირველად ენათმეცნიერების ისტორიაში წარმოაჩინეს ენის წარმოშობის ჭეშმარიტი საფუძვლები. ეს მაშინ, როდესაც ენის წარმოშობის საკითხი მსოფლიო ენათმეცნიერების მიერ საერთოდ შეუძლებლად იყო გამოცხადებული და ასეთი შეხედულება აქ გაბატონებული იყო თითქმის ბოლო ორი საუკუნის მანძილზე.

3600-მდე საენათმეცნიერო ნაშრომი მიუძღვნეს აღნიშნულმა ავტორებმა ენის წარმოშობის საკითხს და საერთოდ ენის ფენომენის შესწავლას. ისინი ერთობლიობაში წარმოდგენილია 16 დიდი მონოგრაფიის სახით, რომელთა შორის არის: 11 ერთტომეული, 2 ორტომეული, 1 სამტომეული, 1 შვიდტომეული, 1 ოცტომეული და 1 მრავალტომეული. ეს უკანასკნელი წარმოადგენს მეგრული ენის, კერძოდ, ზმნური ფონდის კომპიუტერულ ლექსიკონს, რომლის შედგენასაც ავტორები აწარმოებენ მათ მიერვე შემუშავებული ექსცენტრული ხერხით და რომლის პირველი რამდენიმე ასეული ტომი მათ უკვე შეტანილი აქვთ კომპიუტერში.

ეს ხომ სასწაულია და ძნელი წარმოსადგენიც?!

იოლი სათქმელია, მაგრამ მკითხველს ალბათ არ გაუჭირდება იმის წარმოდგენა, თუ რა კოლოსალურ შრომასთან და განსაკუთრებულ ცოდნასთან არის დაკავშირებული ასეთი გრანდიოზული სამუშაოს შესრულება, თანაც მეცნიერების ისეთ დარგში, როგორიცაა ენათმეცნიერება.

ამას წინათ გამოიცა მამანტი და ცირა ძაძამიების ერთი პატარა (108-გვერდიანი) წიგნი სახელწოდებით: „ძალიან მოკლედ ჩვენს საენათმეცნიერო ნაშრომებში წარმოჩენილი სიახლეების შესახებ“. ეს ნაშრომი, როგორც ვიცი, მთლიანად ქვეყნდება პოპულარულ ჟურნალში „აია“. ნაშრომის „უძირითადესი დასკვნები და მონაცემები“ ცალკე გამოქვეყნდა ასევე საყოველთაოდ ცნობილ და პოპულარულ გაზეთ „ილორში“ (N335, 013-20 ოქტომბერი 2015წ). მას აქ ცხადია არ (ვერც) გავიმეორებთ, მაგრამ მოვიტანთ მასში წარმოდგენილ ზოგიერთ მონაცემს, ამ წერილის ადრესატების საყურადღებოდ.

აი, ისინიც: საპირისპიროდ ენათმეცნიერებაში დამკვიდრებული შეხედულებებისა, რომელთა მიხედვითაც: 1. „ენის ლექსიკის უდიდესი ნაწილი არაფრითაა მოტივირებული, შემთხვევითია და ნებისმიერი“; 2. „მართალია, ენაში გვაქვს ხმაძაბვითი სიტყვებიც, მაგრამ ისინი ლექსიკის მცირე და უმნიშვნელო ნაწილს შეადგენს და ენის წარმოშობის ხმაძაბვითობის (ზოგადად, ბუნებითობის) თეორიის დასამტკიცებლად არ გამოდგება“; 3. „თანამედროვე ენაში პირველყოფილი მეტყველების კვალიც არ არის დარჩენილი და ამიტომაც შეუძლებელია მისი აღდგენა, შეუძლებელია ენის წარმოშობის საფუძვლების შესწავლა. ეს საკითხი სამუდამოდ დაკარგულია ენათმეცნიერებისათვის“; 4. სიტყვის აფიქსები მიღებულია რომელიღაც სხვა სიტყვებისაგან“, და ა.შ. დაადგინეს შემდეგი: 1. თანამედროვე ენის, კერძოდ მეგრული ენის ლექსიკის 99,2 პროცენტი ხმაძაბვითი წარმომავლობისაა და მოტივირებულია (იდეამტარებელია) ფონეტიკური და დასაბამიდანვე; 2. მეგრულ ენაში ცოცხლად არის დაუნჯებული ენის მოცემული ენის, ზოგადად ანუ საერთოდ ენის და სხვადასხვა ენის წარმოშობისა და განვითარების მთელი ისტორია; 3. საგნის (სხვა მონაცემის) სახელდებისა და ენის წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს ბუნებაში მოცემული ბგერებისადმი ხმაძაბვითობა, ზოგადად, — საგნის ბუნებითობა; 4. პირველყოფილი მეტყველება — ეს იყო მეტყველება ხმაძაბვითი ძირისეული თანხმოვნური ფორმებით (სიტყვებით), მათთანვე ბუნებრივად თანმხლები ემფატიკური (სახმოსნო ორგანოების დაძაბვისმიერი) მარცვალწარმომქმნელი და დეტერმინანტი (იდეაგანმსაზღვრელი) ნახევრადხმოვანი ბგერითურთ; 5. პირველყოფილი მეტყველება — ეს იყო მეტყველება ერთ ენაზე — ბუნების ენაზე; 6. პირველყოფილი მეტყველებისათვის დამახასიათებელი თანხმოვნური ფორმებისდ აფიქსაცია-გრამატიზაცია მეორეული მოვლენაა ენაში; 7. სიტყვის აფიქსები, საერთოდ ენის საგრამატიკო საშუალებები და მეტყველების ცალკეული ნაწილებიც კი, როგორიცაა ნაცვალსახელები, ზმნიზედები, თანდებულები, ნაწილაკები, შორისდებულები (ამათი უდიდესი ნაწილი მაინც) მიღებულია ემფატიკური (ნახევრადხმოვანი) ბგერისაგან, წარმოადგენენ მის ფონეტიკურ ვარიანტებს ანუ ნაირსახეობებს; 8. თანამედროვე ენა წარმოადგენს პირველქმნილი ხმაბაძვითი ძირისეული თანხმოვნური ფორმებისა და მათთან იმთავითვე ბუნებრივად თანმხლები ემფატიკური, მარცვალწარმომქმნელი და დეტერმინანტი ნახევრადხმოვანი ბგერის ფონეტიკური ვარიანტებისაგან შედგენილ ბგერობით ნიშანთა სისტემას; 9. ენა — ეს არის საგანთა ბუნების საფუძველზე ადამიანის პირით ამეტყველებული უნივერსალური სამყარო; 10. ენაშია დაუნჯებული მთელი ადამიანური ცოდნა საგანთა უნივერსალური სამყაროს შესახებ; 11. ენის ლექსიკის სიმდიდრე მაჩვენებელია მისი განვითარებისა და მოცემული ენის მატარებელი ხალხის მიერ საგანთა უნივერსალური სამყაროს შესწავლის დონისა; 12. მეგრული ენის ლექსიკა მოიცავს რამდენიმე მილიონ სიტყვას პარალელური იშვიათად ხმარებადი და პოტენციურად შესაძლებელი ფორმებითურთ, რაც დაფიქსირებულია ოცტომეულის — „მეგრული ენა — ენის წარმოშობისა და განვითარების ისტორიის ცოცხალი მატიანე“ II-XIX ტომებში, ორ ნაწილად: 1) ზმნური ფონდი (ზმნები და სახელზმნები), რაც მეგრულის მთელი ლექსიკის 99,99 პროცენტს შეადგენს, მოცემულია II-XVIII ტომებში, „მეგრული ენის ზმნურ ფუძეთა ლექსიკონის“ სახთ და მის ყოველ ერთ გვერდზე (10200 გვერდიდან) საშუალოდ იკითხება 150000-მდე სიტყვა; 2) სხვა მეტყველების ნაწილები მოცემულია XIX ტომში „მეგრული ენის სახელებისა და სხვა მეტყველების ნაწილების ლექსიკონის“ სახით, რაც ითვლის 26000-მდე სიტყვას (0,001%). მეგრული ენის მთელი ლექსიკიდან, სავარაუდოდ, თანამედროვე მეგრულში მეტნაკლები სიხშირით ხმარებადია ან შეიძლება ხმარებულ იქნას რამდენიმე მილიონი, რითაც მასთან ახლოსაც ვერ მივა მსოფლიოს ვერც ერთი ენა; 13. მეგრული ენის ლექსიკის აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი სხვა ენაზე პირდაპირ უთარგმნელია, მათი თარგმნა შესაძლებელია აღწერილობის გზით; 14. მეგრული ენის ლექსიკა კოლოსალური სიმდიდრისა და სიტყვების აღწერილობითი ხასიათის წყალობით, წარმოადგენს საგანთა უნივერსალური სამყაროს არა მხოლოდ ბგერით ანუ ბგერაწერით უკუფენას, არამედ ფერწერით უკუფენასაც;

**მეგრული ენის ლექსიკა, კოლოსალური სიმდიდრისა და სიტყვების აღწერილობითი ხასიათის წყალობით, წარმოადგენს საგანთა უნივერსალური სამყაროს მოდელს და ნომერ პირველ საოცრებას დედამიწაზე; მეგრული ენა რომ გადაშენებულიყო, კაცობრიობა სამუდამოდ დაკარგავდა ენის წარმოშობის საფუძვლების შესწავლის შესაძლებლობას და საგანთა უნივერსალური სამყაროს შესახებ ადამიანური ცოდნის უმდიდრეს არსენალს.**

ყოველივე ზემოაღნიშნული, მხოლოდ ერთი ნაწილია ხსენებული პატარა წიგნის (ანოტირებული ნაშრომის) 44-მუხლიანი „უძირითადესი დასკვნებიდან და მონაცემებიდან“.

ხომ გასაოცარია და ერთი შეხედვით, ფანტასტიკურიც?

თუმცა უმჯობესია, მოვიტანოთ ზოგი სხვა მონაცემებიც იმავე პატარა წიგნიდან: „200-მდე რეცენზია-შეფასება აქვთ მიღებული ავტორებს თავიანთი ნაშრომების შესახებ, ამასთან, მიღებული აქვთ გამოხმაურებანი უცხოეთის 21 ქვეყნიდან, მათ შორის: ესპანეთიდან, საფრანგეთიდან, ავსტრიიდან, ნორვეგიიდან, აშშ-დან, ინგლისიდან, თურქეთიდან, რუსეთიდან, კანადიდან, ლიტვიდან...“

„საკაცობრიო მნიშვნელობის ნაშრომი“, „მსოფლიო მნიშვნელობის ნაშრომი“, „გადატრიალება ენათმეცნიერება-

დასასრული მე-10 გვერდზე

**მეგრული ენის ლექსიკა, კოლოსალური სიმდიდრისა და სიტყვების აღწერილობითი ხასიათის წყალობით, წარმოადგენს საგანთა უნივერსალური სამყაროს მოდელს და ნომერ პირველ საოცრებას დედამიწაზე; მეგრული ენა რომ გადაშენებულიყო, კაცობრიობა სამუდამოდ დაკარგავდა ენის წარმოშობის საფუძვლების შესწავლის შესაძლებლობას და საგანთა უნივერსალური სამყაროს შესახებ ადამიანური ცოდნის უმდიდრეს არსენალს**

# «ვინ რაც უნდა თქვას, ეს ტომეულები ამიერიდან ზეცაში იფრენენ. ისინი საქართველოსთან ერთად იცოცხლებენ»

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ში“, „გენიალური ნაშრომი“, „ზეტიტანური ნაშრომი“, „უნიკალური ნაშრომი“, „ფანტასტიკურიც და საკვირველიც“, „უებრო ნაშრომი“, „უდიდესი ქართული მოვლენა“... — ასეთია ამ ნაშრომების მოკლე შეფასებები, რომელთა ავტორებიც არიან ფილოლოგიისა და მეცნიერებათა სხვა დარგების დოქტორები, პროფესორები და აკადემიკოსები: ნაპოლეონ ლემონჯავა, ტიტე მოსია, ოთარ მიქიაშვილი, ირინე ასათიანი, ლულუ აბულაძე, ჯემალ ჯინჯიხაძე, ჭელიძე, ციალა მესხია, რევაზ მიშველაძე, ჯიბო ლომაშვილი, ვლადიმერ რამიშვილი, იაკობ ახუაშვილი, ვაჟა ეგრისელი, კლიმენტი შელია, გია კვაშილავა, ალექსანდრე კრავეიშვილი და სხვა).

ასეთ პირობებში, უთუოდ გასაკვირია, დუმილი ცალკეული სამეცნიერო დაწესებულებისა და მათი მუშაკების ერთი ნაწილისა, თვით სახელისუფლებო ორგანოების თუ დაწესებულებისა, მაგრამ, უმჯობესია, ამის შესახებაც მოვუხმოთ ფილოლოგიისა და სხვა დარგების ცალკეული ჭეშმარიტი მეცნიერებისა და კეთილსინდისიერი განმსჯელების გამონათქვამებს. აი, ისინიც:

„მამანტი და ცირა ძაძამიები რომ სომხები ყოფილიყვნენ, ახლა მათი ძეგლებით მსოფლიო იქნებოდა მოფენილი, ჩვენ რა გვჭირს ქართველებს“ (ჯიბო ლომაშვილი. შვიდტომეულის პრეზენტაციაზე, 29 მაისი 2008 წ);

„თქვენნაირი მეცნიერები ჩვენს „კეთილ“ მეზობელ არმენებს რომ ჰყავდეთ, ახლა მსოფლიო ექნებოდათ შეზანზარებული. მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ თქვენ შეაზანზარეთ ისინი და მთელ მსოფლიოს მიაწვდინეთ ხმა კოლხეთის უძველესი ცივილიზაციისა და ენობრივი სიმდიდრის თაობაზე“ (სოსო ხონელიძე, გაზ. „ილორი“ N116, 10-17 მაისი 2011წ).

„ადვილი წარმოსადგენია, რამდენად სრულყოფილი ისტორია ექნებოდა ქართველებს, რომ დიდ ივანეს ჰქონებოდა ის ინფორმაციები, რაც უკანასკნელი გამოკვლევებით მოპოვებული იქნა მამანტი და ცირა ძაძამიების მიერ მეგრული ენის ლექსიკაზე და სიტყვათწარმომავლობაზე“ (ხვთისო (ხითოს) უთუთაური, გაზ. „ილორი“ N28, 19-26 ივლისი 2011წ).

ამგვარი შეფასებების სრულად მოტანას მთელი ერთი გაზეთი რას ეყოფა. დავამატებთ მხოლოდ ზოგიერთებს:

**„შენ, ენათმეცნიერს რომ ეძახი შენს თავს, თანაც „მამალ ენათმეცნიერს“, როგორ ამბობ კაცო, პირიდან როგორ გცდება, რომ ეს შვიდტომეული წმინდა მეგრული საქმეა და შეფასებისაგან თავს შევიკავებო?! ფაქტს რას უშვრები, კაცო, ფაქტს?! ჩემო ძვირფასო მეგობრებო! ეს ჩემს გონებაში ვერ თავსდება. შენ შეიძლება შენი მეცნიერული დამოკიდებულება გამოხატო, ფაქტს როგორ არ აღნიშნავ, კაცო, რომ დაიბადა დიდი წიგნი და მას უსათუოდ სჭირდება გონიერი საქართველოსაგან შეფასება! აი, ასე ხდებოდა საუკუნეთა განმავლობაში, მაგრამ თურმე დიდი აღმოჩენებისათვის ხელის დაფარების ნაცადმა პრაქტიკამ ვერაფერი ასწავლა ჩვენს ზოგიერთ მეცნიერს“** (მწერალი რ. მიშველაძე, შვიდტომეულის პრეზენტაციაზე, თბილისი 29 მაისი 2008 წ).

„ვინ რაც უნდა თქვას, ეს ტომეულები ამიერიდან ზეცაში იფრენენ. ისინი საქართველოსთან ერთად იცოცხლებენ“ (აკად. სოგრატ სალუქვაძე, შვიდტომეულის პრეზენტაციაზე).

„შვიდტომეულის უდიდესი მნიშვნელობა და აქედან გამომდინარე მისი უმაღლესი ეროვნულ-საზოგადოებრივი ღირებულება, ის შეუვალი ჭეშმარიტებაა, რომელსაც უკვე ვერავითარი „ღრმააზროვანი“ ეჭვები თუ კონტრვერსიები ვეღარ შეცვლიან“ ციალა მესხია — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი, რეცენზიიდან: „ფანტასტიკური და საკვირველი“).

განსაკუთრებით საყურადღებოა შემდეგი შეფასება-მოწოდება:

„ნაშრომის ავტორთა განზრახვა მიღწეულია. შვიდტომეულს ნამდვილად შეაქვს სიცხადე მასში დასმული პრობლემის — ენის წარმოშობის საკითხის ახსნაში.

ხმაძაბვის თეორია ენათმეცნიერებაში ახალი არ არის, მაგრამ შრომის ავტორებმა ერთ-ერთი უმდიდრესი უმწერლობო ენის — მეგრულის შესწავლის შედეგად გააკეთეს უმნიშვნელოვანესი დასკვნა, რომ ამ ენის ლექსიკის უდიდესი ნაწილი მოტივირებულია, თანაც ფონეტიკური დასაბამიდანვე, ანუ სამეტყველო ბგერების წარმოშობისთანავე.

მეგრულ ენაში ავტორთა მტკიცებით უხვადაა შემონახული არქაული ენობრივი ფორმები პირველყოფილი თანხმოვნული ხმაძაბვითი ფორმების სახით, ამასთან ამ ენის ლექსიკის აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი აშკარად ხმაძაბვითია, ან ასეთ საფუძველზე მიღებულად აშკარავდება.

ავტორთა დასკვნით, რაც ფრიად საყურადღებოა, მეგრული ენის ლექსიკის ესოდენი სიმდიდრე უდავო დადასტურებაა იმისა, რომ ამ და სხვა ქართველური ენების წინამავალი პირველყოფილი ენა უშორეულეს წარსულშია წარმოშობილი.

შემიძლია მოკრძალებით ვთქვა, რომ ჩვენს წინაშე დევს მეგრული ენის შესახებ სამი მეცნიერის მიერ დიდი რუდუნებით შექმნილი შვიდტომეული. დღეს მისი მოწონებაც ადვილია და დაწუნებაც. მთავარია, მისი შეფასების მსურველს ჰქონდეს ჭეშმარიტი დაინტერესება და, რაც მთავარია, ობიექტური მიდგომა ნიჭისა და სათანადო ცოდნის მიმართ, რომელიც ჩადებულია მის შექმნაში, და რომელიც ნებისმიერ კეთილმოსურნე მკითხველს, მით უმეტეს მეცნიერს, შემქმნელთადმი უდიდესი პატივისცემით განაწყობს, მათი ღვაწლის გამო. ღვაწლისა, რომელიც ნებისმიერ სოლიდურ სამეცნიერო დაწესებულებას დაამშვენებდა.

აღნიშნული ნაშრომი სრულად ვერ შეფასდება მისი რამდენიმედღიანი გაცნობის შედეგად. შესასწავლია ყველა დასკვნა, რომელთა მიღებასაც უნდა ვივარაუდოთ წლები დასჭირდება.

ნაშრომი (ტ. VII, გვ. 518) შეიცავს მტკიცებებს, რომ თანამედროვე მეგრული ენის ლექსიკა მოიცავს 102.747.879 სიტყვას, პარალელური და პოტენციურად შესაძლებელი ფორმებითურთ, ხოლო უამათოდ, სულ მცირე 20 მილიონამდე (შესაძლოა მეტიც) სიტყვას. ეს კოლოსალური ციფრია. თუმცა ეს ყველაფერი შემოწმებადია. დაეჭვებულ მკითხველს ამ ფაქტმა უნდა გაუჩინოს სურვილი და არამც და არამც არ განეწყოს შრომისადმი ნიჰილისტურად, ამას მეცნიერების, ჩვენი ენებისადმი ერთგულება, ბოლოს და ბოლოს, ქვეყნის სიყვარული მოითხოვს.

არ არის გამორიცხული, რომ ამ თავისებურებათა, იმ ღირსებათა შეფასებისას, რომლებსაც ხედავენ და აღნიშნავენ ნაშრომის ავტორები, ვინმემ სცადოს იხელმძღვანელოს გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით, რასაც ადგილი ჰქონდა ახლო წარსულში და რომლის რეციდივები, თავს იჩენენ დღესაც. განსახილველი ნაშრომის ობიექტი ენაა, ნაშრომი ენათმეცნიერული ხასიათისაა და მისი შეფასებისას მიდგომა მხოლოდ მეცნიერული, კერძოდ, ენათმეცნიერული უნდა იყოს. მეცნიერთა და მკითხველთა მიერ დანახული უნდა შეფასდეს ობიექტურად და არ იქნეს შეფასებული როგორც მათთან დაპირისპირება, რამეთუ ყველა ენას, მითუმეტეს არასამწერლობო და მაშასადამე, დიდი ისტორიის მქონეს, როგორიც მეგრულია, განვითარების საკუთარი გზა აქვს გავლილი და ამ გზის შესწავლა-ანალიზისას, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა გამახვილდეს ამ ენის ინდივიდუალურ თავისებურებებზე, პირობებზე, რომლებშიც ჩამოყალიბდა აღნიშნული ენის დღევანდელი სახე მეზობელ ენებთან მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობების შედეგად“ (ოთარ მიქიაშვილი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი მარტი 2008 წელი).

შეიძლებოდა წერტილი აქ დაგვესვა, მაგრამ რაკი ეს წერილი სწორედაც კონკრეტულ საკითხს ეძღვნება, ჩვენის მხრივაც, აი, რა უნდა ვთქვათ:

მამანტი და ცირა ძაძამიების დიახ ფანტასტიკური ნაშრომების მიმართ ცალკეული ოფიციალური (სახელმწიფო) სამეცნიერო დაწესებულებისა და მათი სპეციალისტების ერთი ნაწილის მხრივ აქამდე დამკვიდრებული დუმილის მიზეზი შეიძლება ისეთი იყოს, რომ მათ შორის არც კი არიან არნოლდ ჩიქობავას, და სხვა დონისა და გამბედაობის ენათმეცნიერები! ეს აზრი მიჩნდება მეც კი, — რომელიც ფილოლოგი არა ვარ, — თუნდაც იმის გამო, რომ თუ არ მივიღებთ მხედველობაში პროფ. იზა ჩანტლაძის მიერ, ამას წინათ ც. ძაძამიას მიმართ გამოხატულ მოწონება-კმაყოფილებას, დღემდე არც ერთი ენათმეცნიერი არც კი გამოხმაურებია ამ ავტორების, მრავალთაგან ერთ-ერთი, ჩვენის აზრით (და არა მარტო), ყველაზე დიდმნიშვნელოვან დასკვნას, რაც ასეა გამოხატული: „თანამედროვე ენა წარმოადგენს თავდაპირველი ხმაძაბვითი ძირისეული თანხმოვნური ფორმებისა და მათთან იმთავიდანვე ბუნებრივად თანმხლები ემფატიკური მარცვალწარმომქნელი და იდეაგანმსაზღვრელი ნახევრადხმოვანი) ბგერის ფონეტიკური ვარიანტებისაგან შედგენილ პირობით ნიშანთა სისტემას“. ეს ხომ, — ენის წარმოშობის საფუძვლების წარმოჩენასთან ერთად, — არანაკლები გადატრიალებაა ენათმეცნიერებაში. აღნიშნულ აზრს განგვიმტკიცებს, ჯერ კიდევ როდის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დოცენტის, იმ დროისათვის მეგრულ-ჭანურის უძლიერეს სპეციალისტად აღიარებული ირინე ასათიანის მიერ (მისივე დის, პროფ. ლ. ასათიანის თანდასწრებით), მამანტი ძაძამიასთვის ნათქვამი შემდეგი სიტყვები: **„ნეტავი გააცოცხლა ახლა, ჩემის ნატვრით, თუნდაც ორი-სამი თვით, აწნეტარხსენებული აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა, რომ იცოდეთ, ბატონო მამანტი, რა ბედნიერი იქნებოდით მაშინ“ და მის შემდგომ დროინდელ ოფიციალურ რეცენზიაში მოცემული შეფასებაც: „მამანტი ძაძამიას და ცირა ძაძამიას გარჯა მართალ მეცნიერებას ემსახურება. ნუმც განელებოდეთ სიმართლის ძიების ჟინი ამ გასაოცარი ნიჭით გასხივოსნებულ ადამიანებს. ნუმც დალეოდეს მამანტი ძაძამიასა და ცირა ძაძამიასთანა სიმართლის მაძიებლები დიდი საბას, დიდი ვახუშტის მიერ დანერგილ ქართულ მეცნიერებას!“** (მ. ძაძამიას დაბადების 75-ე წლისადმი მიძღვნილი ბ. ძაძამიას წიგნიდან: „სიცოცხლეშივე უკვდავებად და ლეგენდად ქცეული“). მსგავსი შეფასებების მოხმობა დაუსრულებლად შეიძლება.

მამანტი და ცირა ძაძამიებს არანაირი დაფასება და სამეცნიერო ტიტულები არ აკლიათ (ისინი არჩეულნი არიან, შესაბამისად: 10 და 5 მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებად და 5 და 3 უნივერსიტეტის საპატიო პროფესორებად). მაგრამ ბევრი რამ აკლიათ თავად ქვეყანა საქართველოსაგან, იმის გამო, რომ ე.წ. ოფიციალური საჯარო სამსახურების სახით აქ არსებული სამეცნიერო დაწესებულებები, — საქართველოს მეცნიერებათა საერო აკადემია და ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამ დაწესებულებების მუშაკთა ერთი ნაწილის მიერ წარმოდგენილ რეცენზიებს, აქამდე თავს იკავებენ მ. ძაძამიასა და ც. ძაძამიას საკაცობრიო მნიშვნელობის უნიკალური საენათმეცნიერო ნაშრომების სათანადოდ შეფასებასა და აღიარებისაგან. სხვაზე რომც არაფერი ითქვას, მათი ამგვარი პოზიციის გამო, საქართველოს ჯერჯერობით მაინც, აკლია ქართველი მეცნიერ-მკვლევარების მიერ ენის წარმოშობის საფუძვლების — ამ ყველაზე საინტერესო და დიდმნიშვნელოვანი საკითხის ამოხსნის შედეგად მსოფლიო ენათმეცნიერების ეპიცენტრის საქართველოში გადმონაცვლებითა და ამიერიდან აწ და მარადის აქ დამკვიდრებით განპირობებული პატივ-დიდება, რაც პირველ რიგში უდიდესი დანაკლისია ქართული ენათმეცნიერებისათვის, მთლიანად ქართული მეცნიერებისათვის. აღნიშნული დაწესებულებების სპეციალური დუმილის მთავარი მიზეზები კი, რასაც ზოგიერთები არც მალავენ, მდგომარეობს იმაში, რომ მ. ძაძამიას და ც. ძაძამიას კვლევის ძირითადი ობიექტია მეგრული ენა და თავად მეცნიერ-მკვლევარებიც, ტომობრივად მეგრულენოვანი ადამიანები არ არიან.

**«ნეტავი გააცოცხლა ახლა, ჩემის ნატვრით, თუნდაც ორი-სამი თვით, აწნეტარხსენებული აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა, რომ იცოდეთ, ბატონო მამანტი, რა ბედნიერი იქნებოდით მაშინ» და მის შემდგომ დროინდელ ოფიციალურ რეცენზიაში მოცემული შეფასებაც: «მამანტი ძაძამიას და ცირა ძაძამიას გარჯა მართალ მეცნიერებას ემსახურება. ნუმც განელებოდეთ სიმართლის ძიების ჟინი ამ გასაოცარი ნიჭით გასხივოსნებულ ადამიანებს. ნუმც დალეოდეს მამანტი ძაძამიასა და ცირა ძაძამიასთანა სიმართლის მაძიებლები დიდი საბას, დიდი ვახუშტის მიერ დანერგილ ქართულ მეცნიერებას!»**

**«შენ, ენათმეცნიერს რომ ეძახი შენს თავს, თანაც «მამალ ენათმეცნიერს», როგორ ამბობ კაცო, პირიდან როგორ გცდება, რომ ეს შვიდტომეული წმინდა მეგრული საქმეა და შეფასებისაგან თავს შევიკავებო?! ფაქტს რას უშვრები, კაცო, ფაქტს?! ჩემო ძვირფასო მეგობრებო! ეს ჩემს გონებაში ვერ თავსდება. შენ შეიძლება შენი მეცნიერული დამოკიდებულება გამოხატო, ფაქტს როგორ არ აღნიშნავ, კაცო, რომ დაიბადა დიდი წიგნი და მას უსათუოდ სჭირდება გონიერი საქართველოსაგან შეფასება! აი, ასე ხდებოდა საუკუნეთა განმავლობაში, მაგრამ თურმე დიდი აღმოჩენებისათვის ხელის დაფარების ნაცადმა პრაქტიკამ ვერაფერი ასწავლა ჩვენს ზოგიერთ მეცნიერს»**

**ალეკო თოდუა**
**ფაზისის საერო აკადემიის აკადემიკოსი**

**წლეულს შემოდგომაზე ქ.სენაკში საზეიმო ვითარებაში აღინიშნება ქალთა კოლხური ტრიოს დაბადების ორმოცდახუთი წლისთავის იუბილე. ამ ტრიოს მომღერლებს თბილი, სულში ჩამწვდომი მეგრული სიმღერების ათასწლეულების ტრადიცია ზრდიდა, ასულმდგმულებდა და ასულმდგმულებს დღესაც.**

# კოლხი მაფშალიები



მოვუხმობთ ისტორიულ ფაქტებს: ძველი ელინი ავტორები აღნიშნავდნენ, რომ კოლხები (ლაზები) ნავებში სხდებიან და მღერიან, როდესაც საომრად მიდიანო. ჩვენი ხალხი ჭირშიც და ლხინშიც მღეროდა და მღერის. სულმნათი ნოდარ დუმბაძე მეგრულ სიმღერებზე ამბობდა, რომ ეს მელოდიები შორეული კოსმოსის სიღრმიდან მოდისო. მე-20 საუკუნის 20-იან წლებში პეტერბურგისა და მოსკოვის ინტელიგენციის წარმომადგენლები თბილისში წერილებს გზავნიდნენ თხოულობდნენ მეგრული სიმღერების ფირფიტებს. მეგრული ნანა მიჩნეულია მსოფლიოში საუკეთესო ნანად.

1998 წ. ანსამბლი „ქართული ხმები“ სტოკჰოლმში გამოდიოდა კონცერტით. როდესაც მათ მეგრული „ჩელა“ შეასრულეს, ცნობილი ანსამბლ „აბბა“-ს წევრმა და კომპოზიტორმა ბიორნმა თვალცრემლიანმა განაცხადა: ამის შემდეგ ჩვენ აღარ უნდა ვიმღეროთო. წლების წინ ზუგდიდის ანსამბლი „ჩელა“ ლასკალას სცენაზე, რომ გამოვიდა, ოვაციებმა დარბაზი დაანგრია. დღეს მეგრულ სიმღერებს მღერიან ევროპაშიც და ამერიკაშიც.

მეგრული სიმღერების ტრადიციას შესანიშნავად აგრძელებენ ლოტბარები: **ძუკუ ლოლუა, კიწი გეგეჭკორი, ვლადიმერ სიჭინავა, ივანე ჩომახია, რემა შელეგია, ბეგლარ აკობია, მიხეილ ხავთასი, არჩილ ხორავა, ლონგინოზ მიმინოშვილი, ვლადიმერ სალია, ორდე ლენთაძე, აკაკი ხარებავა, ტრიფონ ხუხუა, ნოკო ხურცია, ალექსანდრე ბერაია, პოლიკარპე ხუბულავა და სხვები.**

ლეგენდარულ ნოკო ხურციძეზე ნოდარ დუმბაძე ამბობდა: ნოკო ღმერთებს ხელით მიჰყავდათ ცაში და მენჯში ჩამოუვარდათო.

მხატვრულ თვითშემოქმედ მომღერალთა გუნდებში სიმღერის შესანიშნავი დამწყები სოლისტები იყვნენ: **ნიკო ჩაჩიბაია, ელენე ჭუბაბრია, ქიონია ბარამია, ანგელინა ნოდია, ჟორჟ ასკილეისკირი, შაქრო ნინუა, ბიჭიკო პატარაია, ნუნუ გაბუნია, ნუცა აკობაია, გიორგი ასკილეისკირი, გული ხოშტარია** და მრავალი სხვა.

მომაჯადოებელ სიმღერათა მელოდიების ტრადიციებზე აღზრდილმა გოგოებმა: **დარეჯან ფაჩულიამ, დონარა მიმინოშვილმა და ბელა ქამადაძემ 1975წ ქ.სენაკში ჩამოაყალიბეს ქალთა კოლხური ტრიო.** ტრიოს დაფუძნების დღიდან მოყოლებული დღემდე შესანიშნავად უძღვება მუსიკალური ნიჭითა და ხელმძღვანელობის უნარით დაჯილდოებული, კოლხური ღირსების ამაყად მატარებელი ქალბატონი დარეჯან ფაჩულია.

ენით ვერ გამოითქმის ის უდიდესი სინანული, რაც გამოიწვია ტრიოს შესანიშნავი წევრის **დონარა მიმინოშვილის** უკურნებელი სენისგან გარდაცვალებამ. 2000წ. დედის ადგილი ღირსეულად დაიკავა დონარას ქალიშვილმა ეკა კოლუამ.

მეგრულ სიმღერებს ისე ვერ იმღერებს სხვა, როგორც მეგრელი. ტრიო შესანიშნავად დახვეწილი გემოვნებით, ლამაზი ხმის ტემბრით, უზადო შესრულების მანერით მღერის საუკუნეების სიღრმიდან მომდინარე წინაპრების გენეტიკის ხასიათის თვისებების თავისებურებათა გრძნობების ინტუიციის ქურაში ლამაზი სულის წვის შედეგად შექმნილ სიმღერებს. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ კომპოზიტორ იაკობ ბობოხიძის სიმღერა „ცირა“ პირველად დარეჯან ფაჩულიამ და ბელა ქამადაძემ შეასრულეს. ტრიოს გამოსვლებს დიდი ფურორი, ხალხის მხურვალე ოვაციები, სიყვარული და სიმპათიები არ დაკლებია მისი არსებობის მანძილზე. ხალხი დღესაც დიდი სითბოთი ხვდება მათ საკონცერტო გამოსვლებს. ჩვენ, მათ გულშემატკივრებს, ტრიოს პირველი გამოსვლებით მიღებული შთაბეჭდილებები დღესაც არ გაგვნელებია და დიდი ნოსტალგიით ვიხსენებთ იმ პირველ დღეებს, წლებს, როდესაც ტრიო გამოჩნდა სასიმღერო ასპარეზზე. ტრიოს ეშხით შესრულებული სიმღერები მომაჯადოვებლად აღაგზნებს მსმენელთა გულებს და ზეცაში აღაზევებთ მათ. ვუსმენთ კოლხურ ტრიოს და გვაგონდება მითიური სირინოზებისა და სამოთხის მარადიული ჩიტების გალობა. იმდენად დიდ სიამოვნებას გვანიჭებს ხალხს მათი ოსტატური სასიმღერო ხელოვნება.

„კოლხური ტრიოსთვის“ ყველაზე სასიამოვნო მოგონებად დარჩება 1986 წლის ზაფხული, როდესაც მოსკოვში ჩატარდა სიმღერის საკავშირო ფესტივალი, სადაც მათ დამსწრე საზოგადოების და ჟიურის დიდი მოწონება დაიმსახურეს. „კოლხური ტრიო“ ოქროს მედლებით დაჯილდოვდა. შემდგომშიც ტრიოს მრავალი ჯილდო აქვს მიღებული. პერესტროიკის წლებში მიხეილ გორბაჩოვი მეუღლითურთ და ედუარდ შევარდნაძე სენაკს ესტუმრნენ. ტრიომ სტუმრების პატივსაცემად მენჯში კონცერტი გამართა. კონცერტის შემდეგ პირველმა ლედიმ — ფილოსოფიის მეცნიერების დოქტორმა და პროფესორმა რაისა ტიტირენკო-გარბაჩოვამ თქვა: „მე მათი ენა არ მესმის, მაგრამ მგონია, რომ დედა უმღერის შვილებს ან შვლები უმღერიან დედას“. ტრიოს მოსკოვში გამოსვლა კარგად ახსოვდა პირველ ლედის.

კოხტა, კოპწია სენაკის საზოგადოება და ადგილობრივი ხელისუფლება გულმოდგინედ ემზადება ტრიოს იუბილეს ლამაზად აღნიშვნისთვის. ტრიოს გულშემატკივრებსა და მიწვეულ სტუმრებს დიდი სიამოვნება ელით იუბილის დღეს.

ტრიოს სახელოვან ჯგუფის წევრებს გულით ვუსურვებთ დღეგრძელობას და დიდ წარმატებებს, როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე შემოქმედებით საქმიანობაში. მათ ვუძღვნი ლექსებს.

**მურთაზ ჯანჯღავა**
**ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი**



## კოლხურ ტრიოს

თვალხატულა გოგონები
ხმათა ტემბრით, ფერთა გამით
ანგელოზთა დასის დარნი
გამობრწყინდით ხიბლით, შარმით.
თქვენს საამურ ხმათა ტემბრებს
კოლიბრის ფრთები შესხმია;
სამოთხის ჩიტთა გალობას
თქვენი ჰანგები შესხმია.
რაისას, მიშას, ედიკას
მენჯში თქვენი ხმა ატკბობდა.
გაოცებული რაისა
თქვენს ტკბილ ჰანგებზე ამბობდა:
ამათი ენა არ მესმის,
ამას ნათლადაც ვხედავო;
არ ვიცი შვილი დედას თუ
უმღერის შვილებს დედაო.
გისმენთ და გული გვევსება
დამუხტულ გრძნობის ჰანგებით;
განცდა ზეცაში მიგვაფრენს
ემოციური ტალღებით.
ბედნიერია მამული
თქვენისთანა ასულებით;
იდღეგრძელეთ და გემრავლოთ
დღე სურვილთა ასრულებით.
ანგელოზთ ერთი თქვენგანი
ზეცად აუსახლებიათ;
ტრიოსთვის ერთი ხმა აკლდათ
მისით გაუსამხმებიათ.
ჯანი, მხნეობა, ღიმილი
წარმატებები გათოვდეთ
ღმერთი სულ მუდამ გწყალობდეთ,
თქვენ თქვენი ლელო გაგქონდეთ.

## სუმი მაფშალია

სუმი რდითი მაფშალია
სუმი ცირა ქვაჩალია;
ართიქ დოლურუნ, გაფუდეს
ჩილამურიშ თქვარშალია.
თქვანი მაჸალე დონარა
ანგელოზემს ქოჸუნაფუ;
ჟი ცას ქიმეჩ დარნენჯი,
ბირას თექი გოჸუნაფუ.
ჟი ცაშ ერენს ქიმეზაფუ,
თქვა გორკუნა გიშარკათუ;
ელამსქვერი რინა ულუ
ანგელოზემს მიშაკათი.
დონარაშ უპაკე შური
ჸოროფულო გიშინანა;
ჩილამურელი ხონარით
არბას ხვამას გიჩინანა.

## კოლხურ ტრიოს

შაკრობუმეს ჩქინ სენაკი
ოსქვაფერო ოცქვაფუ რე.
ვანაფერი ართიმართი
შურდოგურიშ ორძღაფურე.
ნოღას მიოჯინექინი,
გოჭყაფუში მოჭყუდუ რე.
სონიშე მოჸუნეც სენაკის
ისტორიაშ ოჭყუდურე.
ნოქალაქუ ბეჭედი რე,
რე კოლხიდაში სქიბანი;
ილდამუშაქ დო ქოთ ტროაქ
შხვადოლე ვალმოსქიდანი.
ცირეფ გილასქვერრდნანი,
ქილორიშ ხურზის მეგნა;
ბჟაჩხორიაშ კოპულეფი
თენეფიშ თოლშე ველგნა.
ათენა დო აფროდიტაშ.

## ხონარეფი მილაძგნა;

ჸოროფაშ დო ჯგირობუაშ
გურს დაჩხირი მილარზგნა
ელსამეთის ერჩქინელი
ანგელოზიშ ვანერეფი
კოლხი ცირეფიშ ტრიო რეთ
ღორინთიში ხვამელეფი.
თქვანი სქვამი ღურჭულს აფუ
ცა დო დიხა მარჩქილაფუ.
მუშ გალუათ თქვანიწკგმა
მითინც დუდი ვარჩქინაფუ.
მოსკოვს ოქროშ მენდალეფით
მოურთ ბრელ შხვა ჯილდოეფით.
მერჩამუდან ბრელ წუორთი
სინთელუან ჯგირ დროეფით.
თქვანი ნავანი დიდი რე
შურომუბეს შინალაშო;
შქოატ-ნარან რშიბუდანი,
ბორჯი შორს რდას რჩინალშიო.
სქვამშე აქვამი ხონართ-ტემბრეს
ფსუა ჩანაფ კოლიბრიში;
მის ვენარე თქვან ჸორაფა
თქვან ღურჭულ დო გობირიში.
არდიშ ცირეფ, არდიშ ნარდეფ
ფალით ნერჩით, შუ დო იგრით;
კოლხიშ გენიშ კვიკვილეფი
ირო ფალით, ირო იგრით.
თქვანი მენწყეფიშ ერთუმას
ჟინოხონშე ცაცუნდანი;
აშვანი დო აწოხონი
ფსუემს თქვანო ფაჩუნდანი.
გურიშლალა, შურიშლალა
ჯგირშა გიწურუანდათი;
ამარჯა დო ქვერსემაფათ
არძას გიწულუანდათი.






**ᲗᲐᲜᲐᲤᲐ** — უდიდაში ქირსიანული დღახუ, ნამუთ იშანუაფუ ახალი სტილით 4 პირელს დო 8 მესიშ შქას იოსე ქირსეშე ღურაშ გერჯგინაფაშ გეშა. თანაფას წგმი უნჯღვერს 40-დღამი პიჩვანი, ოხვამე ოზადუ, აღსარება დო ზიარობა, ვნებაშ მარა. ქირსიანეფშო თენა რე ზეიმეფიშ ზეიმი, ნამუთ მესიაშ მოლინას იშანუანს, ნამუშეთ მოსეშ კათა ეგვიპტეშ ჭკორალობაშე დუდიშ გიშაღალაშ უკული ოცნებენდესგნ, მუსგთ ბიბლიური წიმიმორაგადეეფი ქადაგენდეს დო მუსთ სინედრიონიშ ნებათ ჯვარსეგაფილ ქირსეშ სახეთ გგნხორციელგნ.

დუდმაართაშე ხვალე ვნებაშ მარაშ დღალეფს ზეიმენდეს. ხვალე IV ოშწანურას მიაჩგ თანაფაშ დღახუს ალმახანურ სახექ. ნიკეაშ მაართა მოსოფელიშ ოხვამეშ კათუაქ, 325 წანას დადგინგ დღახუშ ეშანუა აფუნიშ ბუნობაშ გემაცვენჯ მარას, იუდეველეფიშ პასექიშ ბოლოს, უთუოთ თიშე გიშაკერძაფილო დო მარაშ ბოლოს. თე შკაფონი უხვადუ ახალ სტილით 4 პირელშე 8 მესშახ. თეშნერო, თანაფა მაყარე დღახუეფიშ კატეგორიას ორხველგ.

ქორთული სხუნუეფიშ ენციკლოპედიაშ მეჯინათ, თანაფაშ ზეიმი, უჯვეშაშ მეჩხოლარეეფიშ დო უკულ დიხაშმახანდეეფიშ ოაფუნე, საარძო გოახალაფაშ დღახუ რე, ნამუშ უშორაშ ჯინჯეფით წარმართულ რელიგიეფს არსხუაფუდას ოკო, სოდე თინა ორთაშ ღურას დო თანაფას შანულენს.

# ᲐᲚᲓᲒᲝᲛᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲣᲤᲚᲘᲡᲐ, ᲘᲔᲡᲝ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡᲘ!



**აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული, თავისი მადლმოსილებითა და დიდებულებით, განსაკუთრებით გამორჩეული და აღმატებულია იმ თორმეტ უდიდეს საუფლო დღესასწაულს შორის, რომელთაც მართლმადიდებლური სამყარო აღნიშნავს.**

აღდგომის დღესასწაულის აღნიშვნას საქართველოში ოდითგან ძალიან საინტერესო ტრადიციები და წეს-ჩვეულებები უკავშირდება, რომელთაგან ზოგი დღესაც შემორჩენილია.

სააღდგომო წეს-ჩვეულებებში შედის: კვერცხის შეღებვა, სააღდგომო გართობა-თამაშობები, მიცვალებულის გახსენებასთან დაკავშირებული ტრადიციები — საფლავზე გასვლა, ნათლიების მიერ ნათლულებისთვის მილოცვა, სააღდგომო სუფრის ხის მწვანე ტოტებით მორთვა და სხვა.

მათგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სააღდგომო განწყობის შესაქმნელი მილოცვა, რომელსაც ჭონაზე სიარული ერქვა. ეს არის „შემოვლითი შემოლოცვის" ერთგვარი რიტუალი, რომელსაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სოფლის ახალგაზრდები და ბავშვები ასრულებდნენ დიდ ხუთშაბათს, დიდ შაბათს ან აღდგომა დღეს. ისინი ზოგჯერ ნიღბებს იკეთებდნენ და თავიანთი სოფლის ყველა ოჯახს, ხშირად კი სხვა სოფლებსაც შემოივლიდნენ ხოლმე მისალოცი სიმღერით. ამის დასტურია სარიტუალო სიმღერის შემდეგი სტრიქონები: „ქვემოთ ქართლიდან წამოველ, / შემოვიარე დვირიო, / აწყვრამდის უზმო ვიარე, / იქ დავიბანე პირიო, / ნინომ რომ კვერცხი შეღება, / ის არის შობის პირიო".

ჭონაზე მოსიარულენი სოფელ-სოფელ კალათებით დადიოდნენ. მათ სხვადასხვა სურსათ-სანოვაგით ასაჩუქრებდნენ: კვერცხით, ფქვილით, ხილით... არსებობს ამ წეს-ჩვეულების ამსახველი ძალიან ცნობილი სტროფი, რომელსაც სხვა შემოვლითი რიტუალების დროსაც ასრულებენ: „ალათასა, ბალათასა, / ხელი ჩავკარ კალათასა, / დედი, კვერცხი გამოიტა, / ღმერთი მოგცემს ბარაქასა".

და კიდევ: „ჭონას ვიყავ, ჭონა ვნახე, / ვერხვი ვერხვსა ეხვეოდა, / ყველა წმინდა ღვთისმშობელი /სულ ამ ოჯახს ეხვეოდა"; „სიცოცხლე და დღეგრძელობა / სულ თქვენს ოჯახს ეხვეოდა"; „ქრისტე აღსდგა, გიხაროდენ! მადლი მახარობლისაო!"; „ჩიტი ღობეზე შემოჯდა, /იძახდა ქიშმიშობასა, ღმერთმა მრავალსა დაგასწროთ / აღდგომა-ქრისტეს შობასა!"

მოსახლეობა სიხარულით ეგებებოდა ჭონაზე მისულთ, ასაჩუქრებდნენ, ოჯახს დაალოცვინებდნენ და მხიარულად ისტუმრებდნენ.

ქრისტეს აღდგომით გამოწვეულ სიხარულთან ერთად ამ რიტუალს გლეხისთვის ერთგვარი პრაქტიკული მნიშვნელობაც ჰქონდა, რომელიც წარმატებულ სამეურნეო წელთან იყო დაკავშირებული: ხვავსა და ბარაქასთან, სურვილების შესრულებასთან.

სააღდგომო წეს-ჩვეულებებში, ცხადია, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სააღდგომო კვერცხს, როგორც ახალი სიცოცხლის სიმბოლოს. შუასაუკუნეებში, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში კვერცხებს ეკლესიაში აკურთხებდნენ და ყველაზე წმინდა საჩუქრად მიაჩნდათ. ქართული ტრადიციის თანახმად, კვერცხი წითელ პარასკევს იღებებოდა, მაგრამ მხოლოდ აღდგომის დღესასწაულის შემდეგ იწყებოდა წითელი კვერცხების გაცვლა, გაჩუქება და ჩატეხა. სააღდგომო კვერცხის სხვისთვის გატეხა კარგ ნიშნად ითვლებოდა.

ტრადიციის მიხედვით, სააღდგომოდ რაიმესთვის აუცილებლად უნდა „დაედინებინათ სისხლი", იქნებოდა ეს ქათამი, ინდაური თუ გოჭი. აღდგომას სამი კვირის განმავლობაში დღესასწაულობდნენ. აღდგომის პირველი სწორი ასევე დიდი დღესასწაული იყო და მას სხვადასხვა სახელით მოიხსენიებდნენ: ახალკვირა, კვირაცხოვლობა, „უფლის-უფლიში" (სვანეთში)... სხვათა შორის, სვანეთში სააღდგომო სუფრაზე მიცვალებულთათვის განკუთვნილი მწვანე ტოტის ანუ რიტუალური „კამარაის" დადგმა იცოდნენ. „კამარაი" რომელიმე ადგილობრივი მცენარის, ხშირად ნაძვის ნახევარწრედ მოღუნული ტოტია, რომელზეც ყველანაირ ხილს, შეღებილ კვერცხებს, პურის თავთავებს, დაწნულ ყველს, ყველისგან გაკეთებულ სხვადასხვა ფრინველისა თუ ცხოველის გამოსახულებებს კიდებდნენ, შემდეგ კი ხეს ორივე მხრიდან სანთლებს უნთებდნენ. „კამარაი" აღდგომის გარდა, მიცვალებულებისთვის ორმოცსა და წლისთავზეც იდგმებოდა.

აღდგომიდან ამაღლების დღესასწაულამდე, ორმოცი დღის განმავლობაში, ქრისტიანები შეხვედრისას „გამარჯობის" ნაცვლად ერთმანეთს ახარებდნენ: „ქრისტე აღდგა!", „ჭეშმარიტად აღდგა!"

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენში მცდარად არის დამკვიდრებული აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის მიცვალებულებთან დაკავშირებული ტრადიცია.

აღდგომას საფლავზე გასვლის ტრადიცია ბევრგან დღემდეა შემორჩენილი, რაც არასწორია, რადგან აღდგომა ცოცხალთა დღესასწაულია და ეს დღე მორწმუნეებმა სხვაგვარად უნდა გაატარონ. სადღესასწაულო დღეებში მორწმუნე ქრისტიანს მიცვალებულის დატირება და გლოვა დიდ ცოდვად ეთვლება. მიცვალებულთა მოხსენიების დღე აღდგომიდან მეცხრე დღეა — სამშაბათი.



**ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲞᲠᲔᲞᲐᲠᲐᲢᲔᲑᲘ «ᲓᲝᲛᲔᲜᲢᲝᲚᲘ» ᲓᲐ «ᲖᲐᲒᲔᲜᲝᲚᲘ» ᲛᲣᲓᲐᲛ ᲘᲥᲜᲔᲑᲘᲐᲜ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ**




დომენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტულ სკლეროზს და შიდსს, შვილის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში. C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს და სხვა მრავალ დაავადებას.

მკურნალის საქმეს წარმატებით აგრძელებენ მისი შვილები: ზეზვა და დოდო.

ᲙᲝᲝᲠᲓᲘᲜᲐᲢᲔᲑᲘᲐ: თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო „ისანთან"), ყოველდღე — 10-დან 16 საათამდე.

**ᲢᲔᲚ: 593-22-66-51; 593-62-28-48**

**ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲖᲔ ᲮᲔᲚᲩᲐᲥᲜᲔᲣᲚᲔᲑᲘ ᲛᲘᲓᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ ᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲐᲜ**

ISSN 1987-8966 „ილორი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 234-32-95

მთავარი რედაქტორი: ეკა ნასყიდაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით: gazeti-ilori@mail.ru (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ „ილორის" გაცნობა შეგიძლიათ „საქინფორმის" ვებგვერდზე www.saqinform.ge